

პეიტი ჯექსონისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განალებს, და არავინ დაჰქმას, გარნა განმლებელმან მან, და არავინ განაღოს დაქმული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი

**საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტროს განცხადება,
შპს „სადავო“-ს მფლობელების მიერ
დაზარალებულ პირებსა და სწავლ-
ის დაწესებულებების წინააღმდეგ
მიმდინარე მოქმედებების აღკვეთის
სახელისუფლო ძალის მიერ**

გვერდი მე-2-3

გვერდი მე-4

ქვემოთხატვის ისტორია

გვერდი მე-6-7

**ისტორიის ახალი
ფურცლები**

გვერდი მე-11-12

**ქსავთისეფეფველო
ნედილეზი**

გვერდი მე-9-10

გივლა გარამიძე: მისი ნათელმოსილები სიგლი

გვერდი მე-5

კურსდამთავრებულთა
კვლდაკვალ

ახალი იღორი -
თბილისის ცენტრში

გვერდი მე-8



ახალი ილორის ტაძრის საკვირაო სკოლის ნორჩი მოსწავლეები და პედაგოგები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და გიჭვინთისა და სხუ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერ-ისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„თქვა ... იესომ: **მე პარაღმეო და სიმონსა, ვინც მე მიწაჲს, თუნდა არა მოკლას, იმსახურებს**“ (ინ.11.25).

აღსრულდა უფლის განკაცების დიადი საიდუმლოს მთავარი მიზანი, – ქრისტე აღდგა!

ენით გამოუთქმელი და მიუწვდომელი ეს სასწაული თითოეული ადამიანის გულამდე აღწევს და საყოველთაო სიხარულით აღვსილნი ვხვდებით:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

საღვთო და ადამიანური ბუნების მქონე ძე ღვთისა და ძე კაცისა, მაცხ-ოვარი სოფლისა და განმახლებელი სამყაროსი, იშვა რჩეული ერის, ისრაელის, წილში.

ადამიანური ბუნებით იგი მოიცავდა მთელ კაცობრიობას, ოღონდ იმ განსხ-ვაებით, რომ არ ჰქონდა ცოდვა ისევე, როგორც ადამს ცოდვით დაცემამდე.

მას მეორე ადამადაც სახელდებენ, რადგან არც ადამს ჰყავდა ღვთისმეტყვე-ლი მამა და არც იესოს; პირველი ადამი მიწისგან შეიქმნა და შემოქმედისგან სული შთაებერა, მეორე – წმინდა ქალწულ მარიამისგან სულიწმინდით მოევლინა ქვეყანას. პირველი ადამის შეცოდებით სამოთხე დაგვარგეთ და სიკვდილსა და ხრწნილებას დაედო სათავე, ხოლო მეორე ადამმა – ქრისტემ, ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან გვიხსნა, მარადიული სიცოცხლე მოგვანიჭა და სამო-თხის კარი კვლავ განგვიღო.

განკაცებულმა უფალმა განაახლა ჩვენი დაცემული ბუნება და აღგვიდგინა ცოდვით შებღალული თავდაპირველი ხატება ღვთისა. ამასთან, მან გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან და ღმერთთან, რათა დასაბამისეული განგებულება ყოვლადწმინდისა სამებისა ჩვენში გაცოცხლდეს და აღორძინდეს.

* * *

სულ რაღაც სამწელიწადნახევრის მანძილზე იესო ქრისტემ თავისი ქად-აგებებით მრავალი მიმდევარი შეიძინა, თუმცა მისი მაცხოვრებელი სწავლება ყველამ სიხარულით როდი მიიღო. ზოგი ეჭვით უყურებდა, ზოგიც გმობდა. თავად უფალი კი, განგებულების შესაბამისად, გარკვეულ ჟამამდე განერიდე-ბოდა ხოლმე მათ და განკურნებულებს, მკვდრეთით აღდგინებულებს, აგრეთვე, ფერისცვალების სასწაულის მხილველ მოწაფეებს და თვით ბოროტ სულებსაც უკრძალავდა, გარკვეულ დრომდე მესიად საჯაროდ ეღიარებინათ; სიტყვანი და საქმენი მისნი კი მაინც თავისთავად მოწმობდა, ვინ იყო იგი.

უფალთან ურთიერთობისას ადამიანები გრძნობდნენ, რომ არამიწიერთან და, ამავე დროს, მშობლიურთან, ჰქონდათ შეხება და მუდამ არჩევანის წინაშე დგებოდნენ, – მიეტოვებინათ ძველი ცხოვრების წესი, ეზრუნათ სულიერ განწ-მენდაზე, როგორც ამას მაცხოვარი ქადაგებდა, თუ დარჩენილიყვნენ ცოდვაში და ძველებური ყოფა გაეგრძელებინათ.

იერუსალიმში დიდებით შესვლამდე უარყოფითად განწყობილნიც კი, მარ-თალია, ზოგჯერ დრტყნით, მაგრამ უფრო ხშირად ინტერესით, უსმენდნენ



მაცხოვარს; თუმცა ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინების შემდეგ, როცა მთელმა ერმა პატივი მიაგო მას, როგორც მესიასა და მაცხოვარს და ჩვილებ-მაც კი სასწაულებრივად იგალობეს მხსნელის სადიდებელი: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი მეფე ისრაელისა“ (ინ. 12.13) – , ვითარება რადიკალურად შეიცვალა; უფალი უკვე ყველას შეეხო და როგორც საერონი, ისე, განსაკუთრებით, სასულიერო დასი არჩევანის წინაშე დადგა, – ან უნდა მიეღოთ იგი მესიად, ან უარეყოთ.

დაპირისპირებულმა ძალამ მისი სიკვდილით დასჯა განიზრახა.

მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ქრისტე შეიპყრეს

ხუთშაბათს, ღამით,

როდესაც მოსახლეობა

პასექის ზეიმისთვის

ემზადებოდა. პარა-

სკევს, გამთენიისას,

გაასამართლეს, განა-

ჩენი გამოუტანეს და

იმავე დღეს ჯვარს

აძვეს.

პასექის დღესას-

წაულთან დაკავშირე-

ბით, დამკვიდრებული

ჩვეულებისამებრ, პილატეს სასამართლომდე ერთი ბრალდებულის შეწყალება იყო შესაძლებელი. მღვდელმთავრებისა და უხუცესების მიერ წაქეზებულმა ხალხმაც იესო ქრისტეს ბარაბა ამჯობინა...

* * *

იმ დროისათვის იუდეა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, რის გამოც მაცხოვრის მთავარ ბრალდებულებს, სინედრიონის წევრებს, იგი რომაელ პროკურატორთან, პილატესთან უნდა მიეყვანათ, რადგან, რომის ხელისუფლე-ბასთან შეთანხმების გარეშე, ჩამორთმეული ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება; ამასთან, უფლის უკიდურესი შეურაცხყოფის მიზნით, მისი სიცოცხლის ხელყოფა ჯვარცმით, დასჯის ყველაზე დასაძრახი რომაული წესით, ჰქონდათ განზრახული.

გარდა პილატესი, იგი მეოთხედმთავარსაც, იუდეის მეფე ჰეროდესაც მიჰგვარეს. ასე რომ, უმოკლეს დროში მოხდა იესო ქრისტეს წარდგენა სამ მმართველ ძალასთან:

იუდეველმა მღვდელმთავარმა კაიოფამ ბრალად დასდო მოსეს რჯუ-ლის დარღვევა და ღვთის თანასწორად თავის მიჩნევა.

წარმოშობით ილუმიელმა მეფე ჰეროდემ, რომელიც არ იყო დავითის შთამომავალი და ტახტის დაკარგვის შიში მუდამ ჰქონდა, იუდეველთათ-ვის აღთქმულ ცრუ მეფედ მიიჩნია იგი და, დამცირების მიზნით, თავის მოსასხამმოცმული საბოლოო მსჯავრისთვის პილატეს გაუგზავნა.

ავეაღვთოთ სულიერად!

მიუხედავად დაპირისპირებისა, ჩვენ

უნდა გვაერთიანებდეს საქმოვლო

სიყვარული, შეგვიძლოს შევიდოვიანი

თანახმობა!



* * *

პროკურატორ ბილატეს არ სურდა ქრისტეს დასჯა, მაგრამ მაინც ანგარიში გაუწია სინედრიონის, პეროდესა და მასთან წარმოდგენილი ხალხის პოზიციას და იმის შიშით, რომ არ დაეწამებინათ უძლეველი რომის კეისრის ძალაუფლების შემცირების დაცვა (ეუზნებოდნენ, იესო თავს ამქვეყნიურ მეფედ აცხადებდა), აღარ შეეწინააღმდეგა მოთხოვნას – ჯვარს ეცვათ იგი.

საქმესაჩივროდ, პერსონალთან ხელისუფლება ვერ შეიძენო მასში ზემოთაღნიშნულმა, სიბრძნე და ქვეყნარსება, ნათელი და სიმართლე, სიყვარული და უმწიკრადღესი თავმჯდომარეობა, რადგან მინიერ გულისმთქმეებს შედგომილნი არ ენსაზღვრდნენ ღვთის სიბრძნეს და საქმთარ სიბრძნეს მინდობილნი, უფლის სიბრძნეს არ დაემორჩილნენ (მტკ. რმ. 10.3). „აქაონი იქნენ თავიანთი ზრახვით, და დაგნულად მათი უმონო გული; ბრძენაქცეგად მოჰქონდათ თავი, და უღვაგად იქნენ“ (რმ. 1.21-22), უსაბრტოლო ბრალი დასდეს მასთჳარს და სისიძვილო განჩენი გამოუგანეს თავად სიბრძნეს, სიმართლესა და ქვეყნარსებას.

ერთი შეხედვით, მიწიერმა სამართალმა გაიმარჯვა და, ადამიანური ლოგიკით, ჯვარცმის შემდეგ იესოსადმი რწმენა უნდა განელებულიყო, მაგრამ სინამდვილე საპირისპირო აღმოჩნდა.

მოუხედავად იმისა, რომ დაპირისპირება სიმართლესა და უსამართლობას, ზეციურ და მიწიერ აზროვნებას შორის დღემდე გრძელდება და ხალხის არჩევანიც მაცხოვრისა და ბარაბას მიმართ კვლავ სასწორზე დევს, სიმართლით შენიღბული სიცრუე და ბოროტება ვერ ფარავს ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას და იგი, ღვთის მადლითა და ძალით, მთელს მსოფლიოში კვლავაც ვრცელდება და იქადაგება.

* * *

მემაღლ მნიშვნელოვანია ზემოთქმულის სულიერი მხარე:

როგორც ვიცით, შემოქმედი სასჯელით გვსჯიდა, როცა სედავდა, როგორ ვეფლობოდი ცოდვაში და ვიღუპებოდი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წარღვნიტ აღხოცა კაცთა შორის გამრავლებული ბოროტება, ცეცხლიტ დაწვა სოდომი და გომორი, ბაბილონის გოდლის მშენებლობიტ გამოვლენილი ამბარტაენებისათვის ბოროტად შეოქმული ადამიანები ენათა შერევით განაცალკევა...

ამიტომაც არის აზრი იმის შესახებაც, რომ დაცემულ ანგელოზებს ეგონათ, თუ უფალი კაცთაგან სასიკვდილოდ გაიწირებოდა, ღმერთი ადამის მოდგმას სამუდამოდ მოაკლებდა წყალობას, მისი რისხვა იქნებოდა შეუქცევადი და კაცობრიობა მთლიანად და საბოლოოდ ჯოჯოხეთის წილხვედრი გახდებოდა.

თუმცა მოვლენები რეალურად როგორ განვითარდებოდა, არა თუ მათ, თვით ღვთის ანგელოზებმაც არ იცოდნენ.

ქენილ საყვაროს არ შეეძლო წარმოედგინა, როგორ ღებართი თაჱოს ჯჱარსჱეს ჩჱენი გაროსნინს ყჱელაჱე დიდ მსხჱერალშენიერად და ჩჱენდაჱი თაჱისი სიყჱარული სჱიგად აჱმჱჱა; ჩჱენს უგა-ლისსჱოგას სარსჱარი შიგგჱეგლოგით უასსუნგად და დანჯით სწორად დჱოგნთა საყვაროს დან-ჯილა; გათ ქლიერაგას დანჱოსგლა, ჯოჯონთიოს ჱჱათ შეჱესრავად და სიჱჱილს განაჱარჱგდა.

„დაინთქა სიკვდილი ძლევიტ! სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი, სადა არს სიკვდილო საწერჭელი შენი?“ (I კორ. 15.55).

ამიერიდან მართლმორწმუნეთათვის იმქვეყნად სატანჯველი აღარ არსებობს, რადგან ქრისტიეში და ქრისტიეთი ცოდვათგან განწმენდილი მათი სულები ღვთის სავანეთ იკვიდრებენ და მეორედ მოსვლის შემდეგ, საყოველთაო აღდგომით, უხრწნელი სხეულის შემოსვითა და ცათა სასუფეველში დამკვიდრებით იხარებენ.

მთელი ახალი აღთქმა ცათა სასუფეველისკენ მოწოდებაა, რადგან მისი მოპოვება ჩვენი მყოფობის არსი და აზრი. ადღგომილი მაცხოვარიც სწორედ ცათა სასუფეველის ცოდნას უზიარებდა თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით 40 დღის მანძილზე, როცა ზეცად ამალეობამდე ეცხადებოდა მათ და სამოციქულო ღვაწლისთვის ამზადებდა და განამტკიცებდა.

ამის შედეგი იყო ის, რომ მოციქულები, რომელთაც დაბრკოლებისა და შიშის გამო ჯვარცმისას მიატოვეს იესო და სინედრიონის მიერ წაქეზებული ხალხისა და ხელისუფალთაგან შეძრწუნებულნი გარეთ გასვლასაც ვერ ბედადნენ, უხრწნელ სხეულში მკედრებით აღმდგარი მაცხოვრის არაერთგზისი ხილვითა და მასთან ურთიერთობით დარწმუნდნენ, რომ ასეთივე იქნებოდა საყოველთაო აღდგომისას ჩვენი სხეულებრივი მდგომარეობაც, რომ სიკვდილმა ძალა დაკარგა და მარადიული სიცოცხლისაკენ გაგვეხსნა გზა. ამიტომაც სრულიად გაუქრათ მიწიერ სხეულთან გაყრის შიში და მათში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებამ იზვიამა.

ისინი იმდენად განმტკიცდნენ და იმდენად განიბრძნენ უფლის სწავლებით, რომ წმინდა მიწაზეც და მთელ მსოფლიოშიც უშიშრად დაიწყეს სახარების ქადაგება და მოწამოებრივი სიკვდილიც სიხარულით მიიღეს.

შუალბ, ადამის ცოდვის გამოსყიდვით, თავის მორწმუნეთათვის სინანული გახადა იმდენად ცხოველსმოყველი, რომ ავაზაკს სიცოცხლის ბოლო წუთების აღმსარებლობითა და გულწრფელი სინანულით მთელი ამქვეყნიური ცოდვები მიუტევა და სამოთხის კარი გაუხსნა, რითიც თითოეულ ჩვენგანს მოგვცა იმედი სინანულის გზით ცხონებისა.

ეკლესიის დიდი მოძღვრები გვასწავლიან იმასაც, რომ ჩვენს პირველ-შობლებს ცოდვა სამოთხეშივე რომ მოენანიებინათ, დანაშაული რომ ერთ-მანეთისა და მაცდურისათვის არ გადაებრალებინათ, არამედ თავიანთი ამ-პარტავნება და ურჩობა უფლის წინაშე გულწრფელად ელიარებინათ, აღარ დაისჯებოდნენ.

ლეთის წინაშე შენდობა რომ ეთხოვა და ღალატის გამო შესატყვისი სინანული გამოვევლინა, თვით იუდაც, პეტრე მოციქულის მსგავსად, შეწყალებას მიიღებდა, მაგრამ იგი, სინანულის ნაცვლად, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

განსვლეთ, რას არ უნდა დიდი იყოს თქვენი ცოდებანი, იმედი არ დაჰარგოთ და სინანულით
 პატივით დაუბრუნდით ქრისტეს: ვახიურ გეყრნავს არა ყვეან უპირანებელი სნეულნი, რადგან მისი
 მოწყალება და გონების ძალა უნაიკროა; ოღონდ უფალს გავუმადგინება და ნაყოფი სინანულისა
 უნდა ვუჩვენოთ. აღნიშნეს ღვაკს არა ჩადნილ ცოდვათა სიძაბვად, არამედ მათი მოუნანიე-
 ბლობა, გაქვავებული და განსიგითებული გული.

* * *

წინასწარმოვ მარხვას ეკლესია როგორც შემოქმედის, ასევე მოყვასის მიმართ სინანულისა და შენდობის მოწოდებით იმიტომ იწყებს, რომ ქრისტიანული ცხოვრება წესად გვექცეს, სულიერი წყლულები მოვიშუშოთ და ნაკლოვანებანი აღმოვფხრათ, რათა ჩვენში და ჩვენ გარშემო არსებულ გარემოში მოხდეს საღვთო წიაღისკენ მიბრუნება, – ურთიერთსიყვარულში დაბრუნება.

ბოლო პერიოდშიც და, სამუხალოდ, წელსაც პოლიტიკურმა პროცესებმა ხალხში ისეთი და-
ბეჭედობა შემოიზანა, რომ, როგორც შიშვე პარხვინ განძდა, ისე სააღდგომო სინაპრულის განფეუბა,
გეგვარი განდლდა.

მიუხედავად ქვეყნაში არსებული ღარიბიზაციისა და რთული ვითარებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებოდნენ სოციალურ სიჭარბეში და, განსხვავებული აზრების მიუხედავად, შევძლებოდნენ შევიდოინოთ თანხმობა.

ყველას მოგიწოდებთ, დღეს, შესაძლებლობისამებრ, ავმადლდეთ სულიერად, მივეცეთ აღდგომის დღესასწაულის სიხარულს და საგალობლებით შევვებოთ მაცხოვარს; გავერთიანდეთ ქრისტეში და ერთად შევთხოვოთ მას კეთილდღეობა და მშვიდობა როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინის, ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოსათვის.

უფალი თავისკებ უზმობს მწუხარეთ, სიმართლის მწყურვალთ, მოწყალეთ, მშვიდობისმყოფელთ, გულთთ წმინდანთ და რწმენაში მტკიცეთ; მათ, რომელნიც არ ბრკოლდებიან ცილისწამებით, უსამართლო დევნითა და დამცირებით და სჯერათ, რომ, როგორც განვლო სინანულისა და მარხვის დღეებმა, ასე გაივლის წუთისოფლის განსაცდელებიც და სიმართლე აუცილებლად იხეიმებს, ვითარცა იხეიმა ქრისტეს აღდგომა.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიო ცივილიზაცია თავის ჟამთა სვლას და მოვლენებს ორ ძირითად ნაწილად ყოფს, – ქრისტიანულ და ქრისტეს შემდეგ წელთაღრიცხვით, რადგან 2000 წლის მანძილზე სწორედ მას უკავშირდება უდიდესი სულიერ-კულტურული და საკაცობრიო ცვლილებები და ქრისტეს ეკლესიაც ხარობს წმინდა მამათა და დედათა და თავის სხვა ღირსეულ შვილთა სიმრავლით.

დღეს ჩვენთან ერთად უფლის აღდგომას ზეიმობენ ჩვენი გარდაცვლილი ასლობლები და წინაპრებიც, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებულნი; დღეს ერთიანდება ცა და მიწა, დრო და მარადიულობა, რაც მთელი არსებით შეგვაგრძნობინებს, რომ ქრისტეა განმსაზღვრელი მთელი სამყაროს აწმყოსი, წარსულისა და მომავლისა; რომ იესოა სიცოცხლე და ერთადერთი წყარო სიცოცხლისა მათთვის, რომელნიც შეუდგებიან - განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ასაკისა.

გაე, ყველა გულით აღმოუთქვამთ: ძიისზე აღება! ქვეყარიგად აღება! აღგოიღება მასხოვარება
დაღოღოღო თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, აიღი!

სიყვარულით მუდამ თქვენთვის მლოცველი,

1000000

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი,
თბილისი, 2024 წელი.

შეხვედრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან


დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამართულმა შეხვედრამ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი ალიბეგაშვილსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამსახურის უფროს სპეციალისტთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბული ფილოლოგიის დოქტორანტ, აღმოსავლეთმცოდნე ლადო ზირაქაშვილთან.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ დამსწრეთ წარუდგინა სტუმრები და ვრცლად ისაუბრა მათ მრავალმხრივ საქმიანობაზე.

ბატონმა გიორგი ალიბეგაშვილმა ისაუბრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიანობისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, განმარტა, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ნორმის ფარგლებში იცავს სახელმწიფო ენის კონსტიტუციურ სტატუსს, ზრუნავს მის პოპულარიზაციაზე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა და დამკვიდრებაზე, მისი ფუნქციაა სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისათვის ერთიანი პროგრამისა და პოლიტიკის შემუშავება, სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა სახელმწიფო ენის განვითარებისა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენის

ციის საკითხებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით ჩვენი სახელმწიფო ძა-



ლიან ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას და მათ შორის ერთ-ერთი ეხება ენობრივ საკითხსაც.

მისივე თქმით, ქართული ენა ოდითგანვე სამ ძირითად ფუნდამენტზე იდგა და ესენი იყო: "მამული, ენა და სარწმუნოება". თავის მხრივ, ეს სამი პოსტულატი დასაბამს ადრეული საუკუნეებიდან იღებს, კერძოდ იმ დროიდან, როდესაც მოღვაწეობდა დიდი წმინდა მამა, "უდაბნოთა ქალაქმყოფელი" და "ზეციისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი" – გრიგოლ ხანძთელი. ეს დიდი მოღვაწე მამულს ხედავდა ბაგრატიონთა დინასტიის კურთხევაში. რაც შეეხება ენას, სწორედ მისი ღვაწლითა და გამოიხიბით დამკვიდრდა დასავლეთ საქართველოში ქა-

ლოებრივ ცხოვრებაში.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ძველი ქართველი მთარგმ-



ნალები, როგორებიც იყვნენ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და ა.შ., ყოველთვის ცდილობდნენ, მსგავსი უცხო ტერმინოლოგია გაექართულებინათ და ისე დაემკვიდრებინათ სალიტერატურო ენაში, ეს ტრადიცია, რა თქმა უნდა, გაგრძელდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებშიც, მაგრამ დღესდღეობით მსგავსი საქმიანობა აღარ მიმდინარეობს და ჩვენი ენაც განიცდის დიდ ზეწოლას უცხო და სრულიად ახალი ტერმინოლოგიისგან, რომელთა გაქართულებაც ვეღარ ხერხდება.

აუცილებელია ისიც ითქვას, რომ ამ გამოწვევის წინაშე არა მხოლოდ ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნები დგანან, როგორიც საქართველოა, არამედ ისეთი დიდი და ძლიერი ენებიც, როგორცაა გერმანული და ფრანგული. ისინიც გაჭირვებით უმკლავდებიან ამ პრობლემას.

აქამდე ქართული ენა უმეტესწილად რუსული ენის გავლენას განიცდიდა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი ცნობილი იაპონური ქალაქის სახელი, რომელიც ჩვენთან რუსულის გავლენით დამკვიდრდა, როგორც "ხიროსიმა", მაგრამ სინამდვილეში მისი რეალური და სწორი დასახელებაა "ჰიროშიმა". ეს და სხვა მსგავსი მაგალითები ცხადყოფს იმას თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის დაცვას, რომ არ მოხდეს მისი გაუბრალოება, დამახინჯება და ინდივიდუალიზმის დაკარგვა. სახელმწიფო ენის დაცვის მიზნით არსებობს ორი კანონი. პირველია კანონი რეკლამის შესახებ და მეორე სახელმწიფო ენის შესახებ.

რეკლამის შესახებ კანონში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საზოგადოებრივ ადგილებში არსებული ობიექტების დასახელებები უნდა იყოს აუცილებლად ქართულ ენაზე. კერძოდ, მარცხნიდან მარჯვნივ აუცილებლად უნდა იყოს დასახელება ქართულად, ხოლო შემდეგ უკვე დასაშვებია ნებისმიერ ენაზე.

მოგესხენებათ ჩვენ ორი სახელმწიფო ენა გვაქვს ესენია: ქართული და აფხაზური და მათზე ზრუნვა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

აფხაზური ენის გადასარჩენად სახელმწიფომ დაამტკიცა ათწლიანი

სტრატეგია, რომელშიც სათანადო ადგილი აფხაზური ენის სამეცნიერო კვლევას და მის პოპულარიზაციას ეთმობა.

ჩვენი მოვალეობა არის არა მარტო ამ ორი ენის შესწავლა და პოპულარიზაცია, არამედ მისი გაციფრულებაც. ამით ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, გავუფრთხილოდეთ იმ მცირერიცხოვან ერებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

აუცილებელია თითოეულ ჩვენგანს ახსოვდეს თუ რაოდენ უნიკალურია ქართული ენა.

ქართველმა თავისი არსებობის განმავლობაში საოცრად სრულყო იგი. შეუძლებელია არ გაგვაკვიროს მისმა მოქნილობამ, გამოთქმების სიმდიდრემ, ფორმების მოხდენილობამ, მისმა უნარმა, რომ თავისუფლად გამოხატოს ისეთი მეცნიერული ჭეშმარიტებანი, რისთვისაც არც ერთ ლიტერატურულად განვითარებულ ენას არ გააჩნია ფორმები.

ცნობილი ენათმეცნიერი ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ "ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას. აზრი არ მოიპოვება, რომელიც ქართულმა ვერ გამოთქვას სრულად და მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდრულია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა."

ჯერ მარტო იოანე ზოსიმეს სიტყვები რად ღირს, რომ მოვახერხოთ და ბოლომდე გავითავისოთ ჩვენი ენის მნიშვნელობა და დიდებულება: "დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენით".

შეხვედრის დასრულებისას ბატონმა გიორგიმ ისიც დასძინა, რომ ენა პირდაპირ კავშირშია ერის სულიერ მდგომარეობასთან. რა სულის, ღირსების, იდეოლოგიის მატარებელიცაა ერი, ისეთივეა მისი სამეტყველო ენაც, რომელსაც ის იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბატონმა ლადო ზირაქაშვილმა მოხსენებაში ქართული ენის განახლებული ნორმების შესახებ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული გეგმა სახელმწიფო ენის 2021-2030 წლების ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შესახებ. ყურადღება გაამახვილა სალიტერატურო ენების ნორმების, ქართული და აფხაზური ენის ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის, ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარების პერსპექტივებზე.

შეხვედრის ბოლოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს სტუმრებს საინტერესო მოხსენებებისთვის და სამხსოვრო საჩუქრები გადასცა.

მომზადდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა

მირანდა ჭიაბარაშვილი



მიზნით. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აფხაზური ენის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი მოსახლეობის ენობრივი დაცულობის შესახებ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუდმივად მართავს შეხვედრებს, ლექციებს, ტრენინგებს საჯარო სამსახურში დასაქმებული რედაქტორებისა და კორექტორებისთვის, აცნობს საზოგადოებას ქართული სალიტერატურო ენის ახალ და განახლებულ ნორმებს. ამასთანავე, აქტიურად მუშაობს ქართულენოვანი ბეჭდვური მასალის გაციფრულების სტანდარტიზა-

რთული სალიტერატურო ენად. სარწმუნოების თვალსაზრისით კი სწორედ მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ მოიპოვა ხელახლა მირონის კურთხევის უფლება.

ამ სამი ელემენტის შერწყმითა და შეერთებით ასევე შეიქმნა ქართული სახელმწიფოებრიობა თავისი გამართული სალიტერატურო ენით.

ბატონმა გიორგიმ ხაზი გაუსვა იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს მშობლიური ენა დგას და რომელთაგან ერთ-ერთ მეტად მწვავე პრობლემას წარმოადგენს უცხო ენიდან შემოსული ტერმინების თვითნებური დამკვიდრება, გავრცელება და მათი გამოყენება ყოველდღიურ საზოგა-



სამა პერიდან

სამა პერიდან

მისი ნათელმოსილავის სიგლი

ჩვენი ქვეყნის წელმადგობა და სიძლიერე მართლმადიდებლობაშია.

მართლმადიდებლობა ის ქვაკუთხედი და ხერხემალია, რომელსაც საუკუნეები ეფუძნება, ანმყოსა და მომავალშიც დაეფუძნება ქართული სახელმწიფოებრიობა.

ქართველი ხალხის ისტორია სამშობლოსათვის თავგანწირული სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოვებდა.

მართლმადიდებლობა, ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბძოლის, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, ისტორიული ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ქართულმა მართლმადიდებლობამ თავისი ამაღლებული სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებით, ტერიტორიული დაქსაქსულობის ჟამს, ქართულ ენასთან ერთად, გაამთლიანა ერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტენდენციების წარმართველი გახდა.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მადლობა უფალს, რომ დედამიწაზე სექტანტური მანკიერების აგრესიულად მოძალების ჟამს, ქართველ ერს, რწმენის, სულიერების, ეროვნული პრინციპების, გამთლიანებისათვის ბრძოლის ეკლიან გზაზე მისი უწმინდესობა მოუვლინა.

ჩვენს პატრიარქში თვით გრიგოლ ხანძთელისეული მასშტაბურობით ჰარმონიულად შერწყმულია „განსრულებული სიბრძნითა“ ჭეშმარიტი საეკლესიო მოღვაწისა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების სახელმწიფოებრივად მოქმედ-მოაზროვნე ადამიანის თვისებათა საოცარი ერთიანობა და ჩვენ, მოკვდავთ, ვფიქრობ, ჯერაც სრულყოფილად ვერ გაგვიზრებ-გაგვითავისებია ის ენითაუწერელი ბედნიერება, როდესაც მის თანამედროვეებზე ვინოდებით.

განვლილ ცხოვრებას როცა ვიაზრებ (ამავე დროს, ანმყოსა და ჯერ კიდევ მომავალზეც ვფიქრობ), თამამად შემოძლია განვაცხადო, რომ ამოდ არ გავჩენილვარ, მე ხომ უწმინდესის თანამედროვე ვარ და, რაც მთავარია, უფალმა მასთან ურთიერთობის არაერთი წუთი მარგუნა.

1979 წელი, საქართველოს საპატრიარქოს პირვანდელი შენობა, სიონის გვერდით. მამაჩემმა (პროფესორი რევაზ ბარამიძე, იმთავითვე უწმინდეს-უნეტარესის ახლო თანამოაზრე) 19 წლის ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, სტუდენტი პირველად წარმადგინა მისი უწმინდესობის წინაშე. სწორედ უწმინდესის რჩევით გადაწყდა სამეცნიერო თემად ამერჩია უძველესი ქართულ-სომხურ-სირიული ხელნაწერების შესწავლა უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ. მახსოვს საუბრები სასულიერო აკადემიის გახსნის აუცილებლობაზე, რომელიც წარმატებით განხორციელდა კიდევ (დღეს აკადემიას დიდი წარმატებით ხელმძღვანელობს მისი რექტორი, საეკლესიო მოღვაწე და თეოლოგი, პროტოპრესვიტერი, პროფესორი გიორგი ზვიადაძე). მას შემდეგ დღევანდლობის ჩათვლით, არაერთი უწმინდესოვანესი შეხვედრის გახსენება შემოძლია (ბევრად დეტალურად ჩემს მხატვრულ-პუბლიცისტურ-ბიოგრაფიულ მონოგრაფიაში იქნება აღწერილი), მახსოვს, ჩემი სომხეთში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ყოფნის დროს, მისი უწმინდესობის სტუმრობა, მისით აღფრთოვანებული სომხური საეკლესიო და საერო აკადემიური საზოგადოება, ხოლო როდესაც სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად მომინია წასვლა, ამ გადაწყვეტილების მიღებაში – მამაჩემის სიტყვებთან ერთად, უწმინდეს-უნეტარესის ნათქვამაც: – „სამცხე-ჯავახეთში ბევრი ეროვნული საქმეა გასაკეთებელი, ჩვენი ძირძველი მხარე მეტ ყურადღებას ითხოვს“.... დიდი როლი იქონია.

არ დამავიწყდება ჩვენი სულიერი მოძღვრის ახალციხეში, წმინდა მეფე თამარის ძეგლის გახსნაზე სტუმრობა (ეს ძეგლი ჩვენი დიდი შრომითა და ინიციატივით აღიმართა ყოველგვარი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, მხოლოდ-დამხოლოდ სახალხო შემოწირულობებით. 60 ტონიანი უმშვენიერესი ძეგლის გამოკვეთა-გამოქანდაკება-ჩამოქნა ქართველმა მოქანდაკემ მალხაზ ცისკაძემ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე განახორციელა. ხოლო როდესაც მუშაობის პროცესში წმინდა დედოფლის ქანდაკების მარცხენა მხარეს გულის ნაწილი გადაიხსნა და იქიდან თბილი სითხე გადმოიღვარა, ეს მოვლენა, უწმინდესმა „სასწაულის დარად“ შეაფასა. ჩვენს მიერ საპატრიარქოში უწმინდესისთვის გადაცემული ქანდაკების ეს ფრაგმენტი, დღეს სიონის ტაძარში ინახება) იქ შეკრებილი მესხები-

სთვის, ჯავახეთისთვის, სომხეთისთვის, მეზობელი თურქეთიდან ჩამოსული მოქალაქეებისთვის, მთელი საქართველოსთვის უდიდეს ბედნიერებად და სახალხო ზეიმად იქცა....

- ვისხენებ ჩემი ცხოვრების იმ მძიმე დღეებსაც, როდესაც სრულიად უმიზეზოდ, ნაციონალების რეჟიმის პერიოდში, როგორც პოლიტიკური დევნილი 9 წლის განმავლობაში უცხო ქვეყნებს ვაფარებდი თავს, არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა, იმ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ უწმინდესს შევხვედროდი, ვენუგეშებინე, მისი ლოცვა, კურთხევა და მხარდაჭერა მიმეღო....

რა დამავიწყებს, როდესაც იმ პერიოდში, უწმინდესს აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ჩამოსულს ვეახლე და დღემდე მეხსიერებიდან არ ამომდის მის მიმართ ის მოწინება, რუდუნება, პატივისცემა და სიყვარული, ისლამური სამყაროს სასულიერო და სახელმწიფო პირები რომ იჩენდნენ – „ბედნიერია საქართველო ასეთი სულიერი მოძღვარი და ერის მამა რომ ჰყავსო“. მათ მიერ ნათქ-

ვამი ეს სიტყვები გახდა ლაიტმოტივი იმ შეხვედრებისა, რაც ჩემი თვალთმაქცს ნანახია....

როგორ შეიძლება არ იამაყო ყოველივე ამით.

დაუსრულებლად შემოძლია ვის-აუბრო მსგავს შეხვედრებზე, ჩემი ცხოვრების საეტაპო პერიოდებად რომ ქცეულა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ყოველივე ამის შესახებ ცალკე მონოგრაფიაში აღვწერ, აღვწერ სიამაყითა და ბედნიერებით აღსავსე.

„ერის ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ის კარგავს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალს, როდესაც მას ხელიდან ეცლება ეროვნული მიზანსწრაფვა და კომპაქტურობა, როდესაც პიროვნება კარგავს ინდივიდუალობასა და მთლიანობას, როდესაც ჭარბად განვითარებული ინდივიდუალიზმი არ ექვემდებარება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მიზნებს. ერი დაღუპვის პირასაა, როდესაც მისთვის არ არსებობს ანგარიშგასანევი ავტორიტეტი, მომავლის რწმენა და მოქალაქეთა ენერგია

კი, არ ერთიანდება ერთი მთლიანი ამაღლებული მიზნისათვის.... „მართებულად და სწორად აღნიშნავს პროფესორი რევაზ ბარამიძე ნაშრომში – „სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ზნეობრივი იდეალი“.

და რა განუზომელი ბედნიერებაა, როდესაც სრულიად საქართველოს, ქართველ ერს ჰყავს დიადი მიზნისკენ შემაკავშირებელი და წარმმართველი ასეთი ავტორიტეტი, ერის მამა, სულიერი მოძღვრის-ილია შიოლაშვილის სახით, რომლის ყოველწუთიერი არსებობა-ყოფა, მისი ყოველი ქადაგება, ყოველი ლოცვა, ეპიტოლე, მონოდება, ღრმა თეოლოგიური განსჯა, ბრწყინვალე ორატორობა,

ამავე დროს, ეროვნულობის, სამშობლოს უანგარო სიყვარულის, კაცთმოყვარეობის, სულიერების, ქრისტესეული შემწყნარებლობის, ზნეობრიობის უიშვიათესი, საოცრად მასშტაბური ერთიანობაა და რომელიც ჩვენ, ქართველებმა, სასიცოცხლო და სამოქმედო პროგრამად უნდა ვაქციოთ.

თანამემამულენო, როგორც ცაში ვარსკლავებს და ზღვაში ქვიშას, ისე ვერ დავითვლით, ვერ ჩამოვთვლით, ვერ ავწონით ილია II-ის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ღვანლსა და მუშაკობას საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე.


- დღევანდლობა მას, მისი ჭეშმარიტი ნათელმოსილების ხიბლით.

ბრიგოლ (ბიგლა) ბარამიძე.

2024 წელი, მარტი




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტუმრობა სომხეთის რესპუბლიკაში. სტუმრობა სრულიად სომხეთის კათალიკოს-პატრიარქ ვაჰგენ I-თან.



თამარ მეფის ძეგლი ახალციხეში



ბეთლემის ისტორია



გზა მეტეოსადგურიდან ბეთლემისაკენ

1977 წლის 25 დეკემბერს, ღვთის განგებით, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში აღსრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება. შეიძლება ითქვას, იმ დროს ეკლესიას მრევლიც ნაკლებად ჰყავდა და აი, მოხდა საოცრება: სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი და მისი შემოგარენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებითა და ახალგაზრდებით გაივსო. ეკლესიისადმი ასეთი თანაგრძნობის საჯაროდ გამოხატვა, პირველი იყო კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. როგორც ჩანს, ხალხმა იგრძნო, რომ საქართველოს ცხოვრებაში იწყებოდა რაღაც ახალი და ძალზე მნიშვნელოვანი.

უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის რუღუნებით, საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია, დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, გაიხსნა ეკლესიები და მონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები, საქართველოს ეკლესიის წმინდათა დასს შეემატა არაერთი წმინდანი.

საპატრიარქო რეზიდენციაში სხვადასხვა აქტუალურ თემებზე იმართებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სასულიერო პირები მეცნიერებთან ერთად განიხილავდნენ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირობო საკითხებს.

ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე, რომელიც ხევთან დაკავშირებულ პრობლემებს, ისტორიისა და კულტურის საკითხებს მიეძღვნა, მეც მიმინვეს მოხსენების წარსადგენად – „ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის რეალური ისტორია“, რაც, გარკვეულწილად, ჩემი ოჯახის წევრებსაც უკავშირდება. ბუნებრივია, მეუფეებთან ერთად, სხდომას მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც ესწრებოდა.

მოხსენება ბეთლემის განმარტებით დაიწყო, შემდეგ კი აღმოჩენის ისტორიის პერიპეტებზეც ვუამბე დასწრე საზოგადოებას.

„ებრაული ენციკლოპედიით ბეთლემი განმარტებულია როგორც „ღმერთის სახლი“, ან „ღმერთის საცხოვრებელი“, ანუ წმინდა ადგილი, წმინდა სამყოფელი (ბეთლემი ივრითულად, ბაით – სახლი, ლეჰემ – პური. ბაითლემ – პურის სახლი). ასევე მოიხსენიებენ, რომ ბეთლემი „არის სახლი ცხოვრებისა, ბინა სინმინდისა“.

სწორედ ეს „სახლი ცხოვრებისა, ბინა სინმინდისა“ აღმოაჩინეს ქართველებმა ხევში და ლეგენდარული მთამსვლელი ქალის ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით პირველად შევიდნენ მასში 1948 წლის 7 იანვარს.

შობის დღესასწაულზე მომხდარ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოებაში არნახული ინტერესი გამოიჩინა ამ აღმოჩენის მიმართ, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში მყოფი სამშობლოს სიყვარულისთვის დასჯილი მწერალი ლევან გოთუა, თავის დას – მზიას წერდა: „ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგივრად მიულოცე „განდეგილის“ ქვაბულის აღმოჩენა. მეტად მაინტერესებს და ამ

აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს ან შენს დაწერილებით წერილს. რა შესანიშნავი თემაა. გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი – ალბათ, თავისი ძლიერების ხელმოწერად დასადასტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავნერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული და სული შეხუთული მაქვს“.

ჩვენი ოჯახის არქივში დაცულ ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ არსებულ მასალაზე დაყრდნობით, დამსწრეთ გაგაცანი ჯერ კიდევ 1913 წლის 15 დეკემბრის ჟურნალ „Искры“-ში გამოქვეყნებული წერილი – „წმინდა ნინოს ტაძარი“, რომელშიც ვკითხულობთ: „კავკასიის მთიელთა შორის – ინგუშებსა და ხევსურებში, დიდი ხანია დადის ხმები, რომ ყაზბეგის მწვერვალზე, მის მიუვალ კლდეებსა და მუდმივ ყინულებში არის რომელიღაც ძველი ტაძრის ნანგრევები. ამ მონათხრობს ფანტაზიის სფეროს აკუთვნებდნენ და უკანასკნელ დრომდე არ სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ მთიელები მწვერვალზე შესამჩნევ ჯვარზე მიუთითებდნენ და ამ ადგილს „წმინდასა“ და „ბეთლემს“ უწოდებდნენ, რომელიც გადმოცემით, დაუარსებია საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოს. ნანგრევები გერგეტის მყინვარის უშუალო სიახლოვეს არის“.

ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ, ბეთლემის მიდამოებს ეწვია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავლა-მგზავროსნობის გამოვლილების მთამსვლელთა ჯგუფი სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რის შესახებაც 1927 წლის 23 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „სარეკორდო ასვლა მყინვარწვერზე“.

„...პირველი ღამე გავატარეთ 3100 მეტრის სიმაღლეზე, ე.წ. „საბერნე“-ში – გერგეტის მყინვარის ბოლოს. ექსპედიციის ნაწილმა: მე, სოსო ასლანიშვილმა, დევი მიქელაძემ, არჩილ ბენაშვილმა და იაკორ კაზალიკაშვილმა გადაწყვიტეთ წასვლა ბეთლემის მონასტრის ნანგრევების დასათვალიერებლად, რომელიც ცნობილია აგრეთვე „ბერების ნადგომი“-ს სახელწოდებით...“

იქ დავითვალეთ 6 შენობის ნანგრევი. მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი, რომელიც ალბათ წარმოადგენდა ეკლესიას. ამ ეკლესიასთან ძვეს ერთი უზარმაზარი ქვა, რომელშიც ღრმადაა ჩასობილი დიდი ქვის ჯვარი. ამ ჯვარს თვალთ კარგად არჩევს კაცი გერგეტის მყინვარიდანაც“...

1928 წელს გამოცემულ ამავე ექსპედიციისადმი მიძღვნილ იოსებ (სოსო) ასლანიშვილის წიგნში – „მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით“, ვკითხულობთ: „...ბეთლემის გორაზე სამების დღესასწაულის დღეს აღიან თურმე მხვეწარნი-მლოცველნი. იქ არის პატარა ნიშანი ნანგრევთა. მაგრამ ნამდვილი ბეთლემი კი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის „განდეგილით“ ვიცნობთ, უფრო წინ არის გერგეტის მყინვარის ზემოთ, მყინვარწვერის ძირში.

იაგორა მიგვითითებს მყინვარს გადაღმა კლდეებზე, სადაც არის თურმე ბეთლემის მონასტრის ნანგრევები და მე დაჟინებით მოვითხოვ ამხანაგებისაგან, რათა ენახოთ ბეთლემი, მით უმეტეს, რომ არც ერთს ჩვენს ექსპედიციას ბეთლემისაკენ არ უმოგზაურნია. შევუდექით ბეთლემისაკენ... რასაკვირველია, ჯაჭვი არ ჩანდა და ჩვენ სრულიად თავისუფლად მივედით ბეთლემის ნანგრევებთან. სიმონი ეკლესიის ირგვლივ საკნებში ეძებდა ჯაჭვს, მაგრამ ამაოდ, ჯაჭვი არსად იყო. შესაძლებელია იყო ოდესღაც. ახლა კი თვით ბეთლემის ნანგრევები თავისი მიდამოებით 3900 მეტრის სიმაღლეზე მიტოვებული, მაინც ღირსშესანიშნავია მით, რომ, როგორც ჩანს, იქ არა ერთი და ორი კაცი ცხოვრობდა, არამედ, მრავალი. ეკლესიის ირგვლივ, შორიხლო სულ ექვსი საკანია; თვით ეკლესია, კლდეში მიშენებული, უკვე ჩამონგრეულია და ნანგრევებს ქვეშ მოსჩანს კარი. ხის სვეტები აქამდის შენახულია, რომელშიც მიშენებული ყოფილა ეკლესია, აქამდის შენახულია ამოთლილი და ზედ ჩასობილი თეთრი ქვის დიდი ჯვარი. იაკორას თქმით, წინათ ის ჯვარი უფრო დიდი

ყოფილა, მაგრამ დროთა სვლაში ქარისა და თოვლისაგან გამოფიტულა. საერთოდ დროთა სვლაში ყოველივე იფიტება, ქრება. ასევე მოსვლია ბეთლემის ტაძარს“...

ამ ექსპედიციის შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა და... 1947 წლის 20 დეკემბერს, თბილისში, ცნობილ მთამსვლელ ქალს, ალექსანდრა ჯაფარიძეს, ყაზბეგიდან მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი შალვა წერეთელი ესტუმრა, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი ჩამოიტანა:

– რამდენიმე დღის წინ – ჰყვებოდა იგი, – ჩვენ, მეტეოსადგურში გვეწვია ლევან სუჯაშვილი; მან განაცხადა, რომ ნოემბრის დასაწყისში, მეტეოსადგურიდან გზად მიმავალმა, როცა დასასვენებლად ჩამოვდა ყინვარზე, შორეულ კლდეში დაინახა... კარი, საიდანაც ეშვებოდა ჯაჭვი...

ჩვენ არ დავუჯერეთ ლევანს, რადგან იმ ადგილებში ასეულ ადამიანს და ჩვენც არაერთხელ გავგივლია; მაგრამ ცნობა მართალი აღმოჩნდა – კარი და ჯაჭვი დავინახეთ... მხოლოდ ერთი წერტილიდან! თუ ამ წერტილიდან გადაინვეთ თუნდაც მეთექვსმეტე გრადუსით – შიშველ კლდეებს დაინახავთ; ნაბიჯი გადადგი თუ არა ამ ადგილიდან, კარი მაშინვე გაქრა თვალთახედვიდან“...


შეიტყო თუ არა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლებისაგან, მყინვარწვერის კალთებზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე,

კლდეში რაღაც კარის მსგავსი შევამჩნიეთო, ალექსანდრა ჯაფარიძემ დაუყოვნებლივ განცხადებით მიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ზაქარია კეცხოველს, რადგან იმ დროს, მთავრობის ნებართვის გარეშე ასეთ საქმეზე წასვლა შეუძლებელი იყო. ექსპედიციის ორგანიზება მყისიერად მოხდა. მთავრობის მიერ პროექტი დამტკიცდა და ექსპედიციის ხელმძღვანელობა ალექსანდრა ჯაფარიძეს დაევალა.

1948 წლის 2 იანვარს, ალექსანდრა ჯაფარიძე და შალვა წერეთელი თბილისიდან გაემგზავრნენ. დიდ-



ალექსანდრა ჯაფარიძე ბეთლემის ძირში



ბეთლემის გამოქვაბულის კარი



ეს ნივთები დახვდათ გამოქვაბულში შესულებს

დედი წარმოშობისაა შანდლის ბრინჯაოს სადგამი (ძირი); ვერცხლის ფული სხვადასხვა ეპოქისაა, აქედან ორი მონეტა ერეკლე მეფის დროინდელია, ერთი - XV საუკუნის მეორე ნახევრისაა, ხოლო 7 ცალი XVII საუკუნის ირანული მონეტებია.

ბეთლემიდან დაბრუნებული ალექსანდრა ჯაფარიძე, რამდენიმე დღის შემდეგ დეტალური ანგარიშით წარსდგა საქართველოს ალბური კლუბის წევრების წინაშე და კვლევის პირველი შედეგების შესახებ მოახსენა საზოგადოებას. სხდომა გახსნა ალბური კლუბის პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნიკო კეცხოველმა. მან შეაფასა აღმოჩენის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ესაა პირველი ნაბიჯები ამ საინტერესო ობიექტის კვლევისა, რადგან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, მცინვარის კლდოვან კალთებზე ყოფილა მღვიმე-გამოქვაბულთა მთელი სისტემა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღესდღეობით ამოვსებული-ამოქოლილია, ხოლო სხვები მცინვართა საფარველითაა დაფარული.

ბეთლემის საიდუმლოების გასაღები მიგნებულია და თუ ლეგენდების ლოგიკა შემდეგშია დადასტურდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბეთლემის გამოქვაბული ის სადგომია, რომლის ბინადარსაც განძის დაცვა ევალებოდა.

ამის შემდეგ, ბეთლემის გამოქვაბულით ბევრი დაინტერესდა, მაგრამ მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1957 წელს ლევან გოთუას და ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა მწერლების მონაწილეობით ჩატარებული ექსპედიცია, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 120-ე და ვერაგული მკვლელობის 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

იმავე დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი, პროფესორების ლევან მენაბდისა და ვახტანგ ნათაძის წინამძღოლობით გაეცნო ბეთლემის გამოქვაბულს.

ორი ათეული წლის შემდეგ, ბეთლემის კომპლექსმა, რომელსაც ჩამოსცილდა ლეგენდარულობის ბურუსი, ახალი თაობის მკვლევარებიც მიიზიდა.

1978 წლის 14-21 ოქტომბერს, ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ჯგუფი. ექსპედიციამ შეძლო დაემოწმებინა 10 ნაგებობის ნანგრევი, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს ა. დუხოვსკიმ ნახა. მათ ეს ნანგრევები ბეთლემის მიდამოების ტოპოგრაფიულ რუკაზე აღნიშნეს. ექსპედიციის წევრთა დაკვირვებებისა და კვლევის შედეგად, საინტერესო მასალებით შეივსო ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის კვლევის ისტორია. ექსპედიციის ხელმძღვანელმა პარმენ მარგველაშვილმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ბეთლემი, სტეფანწმინდა - სამონასტრო კომპლექსი“. ავტორის დაკვირვებით „გერგეტისა და აბანოს მცინვართა გამყოფ ბეთლემის ქედზე გარკვევით შეინიშნება ადგილი, რომელიც ოდესღაც სამონასტრო კომპლექსის ცენტრი უნდა ყოფილიყო. გამოქვაბულსა და სამონასტრო კომპლექსის ცენტრს შორის დონეთა სხვაობა 250 მეტრი აღმოჩნდა, თვით გამოქვაბული კი ზღვის დონიდან 3982 მეტრზე მდებარეობს.

უნიკალურია ქრისტიანული მცირე აზიისა და ევროპისათვის ასეთ სიმაღლეზე სამონასტრო კომპლექსის არსებობა და საკვირველიცაა, რადგან აქ არ არის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამ დაკვირვების საფუძველზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამონასტრო კომპლექსისა და მღვიმე-გამოქვაბულთა სისტემა სახიზარ-სამაღავს წარმოადგენდა და სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობდა: მიუვალი სახიზრების კომპლექსიდან მთელი სტეფანწმინდის მიდამოები და

თოვლობის გამო საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტილი იყო და მათ შემოვლა მოუხდათ ბაქოსა და ვლადიკავკაზის გზით. თერგის ნაპირებიდან კი მგზავრობა მარხილებით განაგრძეს.

სტეფანწმინდაში ექსპედიციას შეუერთდა ლევან სუჯაშვილი. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების თხოვნით, ექსპედიციაში შეიყვანეს აგრეთვე, ყაზბეგის მუზეუმის დირექტორი სტეფანე ალიბეგაშვილი, თავისი ორი თანამშრომლით.

6 იანვარს, ნაშუადღევს, ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს მეტეოროლოგიურ სადგურს. მოზამთრეები სიხარულით შეეგებნენ სტუმრებს. ყველანი გრძნობდნენ, რომ ისინი უჩვეულო ექსპედიციის მონაწილეები და მონაწილეები იყვნენ.

7 იანვარს, დილით, 8 კაცი დაიძრა ბეთლემისაკენ: ალექსანდრა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), ლევან სუჯაშვილი, შალვა წერეთელი, სტეფანე ალიბეგაშვილი, არჩილ კობაძე, გრიგოლ შადური და მეტეოსადგურის თანამშრომლები – ირაკლი იმნაძე და ვალერიან სუჯაშვილი.

ჯაჭვის ბოლოს რომ მიაღწიეს, განცვიფრდნენ: ჯაჭვს საუკუნეებისათვის გაძლო და არც კი დაჟანგულა. გასინჯეს და დარწმუნდნენ, რომ მას შეიძლება აჰყვეს კაცი, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც თოკი ამჯობინეს. ჯერ ლევან სუჯაშვილი ავიდა. მას აჰყვნენ ალექსანდრა ჯაფარიძე და ვალერიან სუჯაშვილი. კარი მაგრად იყო დახურული, არ იღებოდა. ჩაყინულ კარს ჯაჭვის სიმძიმეც არ უშვებდა. კარის წინ პატარა მოედანზე სამნი ეტევიან... სცადეს კარის თავზე არსებულ სარკმელში გადართობა და სამივენი სენაკში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ამოზიდეს ჯაჭვი და კარი შიგნიდან გააღეს. დანარჩენებიც თოკისა და ჯაჭვის დახმარებით ავიდნენ გამოქვაბულში.

ალექსანდრა ჯაფარიძემ ყველაფერი დეტალურად აღწერა, აზომა, ფოტოები გადაიღო და პირველი პუბლიკაცია გაზეთ „კომუნისტის“ 1948 წლის 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდა.

ექსპედიციის წევრთა ყურადღება მიიპყრო გამოქვაბულის სისუფთავემ. „კედლები და ჭერი სუფთად იყო შეთეთრებული. მას ემჩნეოდა ხელოვნური გამოკვეთის კვალი. კარისკენ ოდნავ დახრილი იატაკი მოგებული იყო ოთხკუთხა პარკეტივით მჭიდროდ ურთიერთმორგებული ფილებით. კედლები თითქმის მრგვადაა გამოკვეთილი კლდეში. უკანა კედელი უფრო განიერია და თანდათანობით ვიწროვდება კარისაკენ.

გამოქვაბულის აღმოსავლეთ კედელთან იდგა მაღალი სამფეხა ხის შანდალი, კლდეზე მიყუდებული 5 წლის ჯიხვის რქა, აღმოსავლეთ კედელთანვე, კარიდან 1,5 მეტრის მანძილზე იდგა ქვის დასაჯდომი, რომელიც ანდუზიტის ორი ქვისაგან შედგებოდა.

ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული ნივთები შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ აკადემიკოსების: ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, გიორგი ჩიტაიას, ხელოვნებათმცოდნე იროდიონ სონღულაშვილისა და ნუმიზმატ თამარ ლომოურის შემადგენლობით. მათ დაადგინეს, რომ ხატი-დროშა რელიგიური გამოსახულებით და წარწერებით ძველი ქართული ჭედურობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და არაუგვიანეს XII საუკუნისა უნდა იყოს. უფრო ადრინ-



ჭედური ხატები დროშაზე

სამების კონტურები გარკვევით მოჩანდა...

1987 წლის 18 ოქტომბერს, ილია მართლის დაბადების 150-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტულ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაზმი კვლავ ეწვია ბეთლემის გამოქვაბულს. 19 ოქტომბერს განახორციელა ასევე მცინვარწვერზე, ხოლო მეორე დღეს მიაკვლია ახალ გამოქვაბულს, რომელიც „განდეგილი-სეული“ სენაკიდან დაახლოებით 250-300 მეტრზე, იმავე სიმაღლის შეუღლ კედელშია გამოკვეთილი. გამოქვაბულის აღმოჩენაში, უნივერსიტეტის მთამსვლელთა გარდა მონაწილეობდნენ ყაზბეგის მეტეოსადგურისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები, ასევე, პროფესორი ნოდარ ნათაძე. ეს ახალი აღმოჩენა მოწმობს ბეთლემის ლეგენდის საფუძვლის რეალობას. ამდენად, ბეთლემისა და ილიას „განდეგილის“ პერსონაჟებთან დაკავშირებული მასალების ძიება კვლავ უნდა გაგრძელდეს...

ბეთლემთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი და უმნიშვნელოვანესი ფაქტია აღსანიშნავი:

2000 წელს, მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მცინვარის კალთაზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე დაიდგა „მცინვარის წმინდა სამების“ მცირე ზომის ტაძარი და აქ მეუფე ნიკოლოზმა პირველი წირვა აღავლინა.

პარმენ მარგველაშვილმა აქ აღმოაჩინა და გათხარა გამოქვაბულები, აქვე ყინულის ფენის ქვეშ იპოვა მე-ნ საუკუნის ხის დაფა, რომელიც მირონით იყო გაფლენილი და საოცარი სურნელი ჰქონდა, იპოვა სანთელი, რომელშიც ძაფის ნაცვლად ბალახის ღერო იყო გაყრილი და რომელიც ამჟამად საპატრიარქოში ინახება.

„მცინვარის წმინდა სამების“ მცირე ზომის ტაძარში ჩატარებული ისტორიული წირვის შემდეგ, აქ პირველი ნათლობაც ჩატარდა. მოინათლა ხევის მკვიდრი ჯონი ხუციშვილი. ასევე, ბეთლემის ტაძარში დაინერა ჯვარი მთამსვლელმა და ტელეოპერატორმა ნიკა ლებანიძემ. ეს ფაქტები გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ თაობათა შორის უწყვეტი სულიერი კავშირი ნამდვილად არსებობს!“

წინამდებარე წერილში მოკლედ გავაცანით გაზეთ „კლიტე დავითისის“ მკითხველებს საპატრიარქოში გამართულ კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენების შინაარსი.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, მისმა უწმინდესობამ მაღლობა გადაგვიხადა მომხსენებლებს და სამსახვრო საჩუქრები გადმოგვცა.

ამის შემდეგ კიდევ რადენჯერმე მქონდა პატრიარქთან შეხვედრის პატივი, ერთხელ, როცა სახელგანთქმული მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა დაბრუნდა მსოფლიოს გარეშე მოვლომგზაურობიდან, მეორედ კი როცა ნახა სტუდია „გუთანის“ მიერ თანამედროვე ქართულ ემიგრანტთა ცხოვრების ამსახველი ფილმი – „მინის სჯული“, რამაც მასზე იმდენად იმოქმედა, მთელი ფილმის განმავლობაში თვალზე ცრემლი არ შემშრობია. ეს იყო ქართული ეკლესიის წინამძღოლისა და ქართველი ხალხის სულიერი მამის იმ სიყვარულის გამოვლინება, რასაც იგი თითქმის ყოველდღიურად უქადაგებს თავის სამწყსოს.

კურსდამთავრებულთა კვალდაკვალ

axali ilori - Tbilisis centrsi



ივერიის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი.

ჩვენ სწორედ ახლა იქ ვიმყოფებით და ვსაუბრობთ, სადაც 2011 წელს ბატონმა ზურაბ ჩიქოვანმა, შვილმკვდარმა მამამ, თავისი კახას სულის საცხოვნებლად ეკლესიას შესწირა ეს შემოგარენი. 1300 კვადრატული მეტრის ფართობს კახას მეგობარმა, თბილისელმა სერგო ბუბუტიშვილმა ამდენივე ზომის მომიჯნავე ნაკვეთიც უბოძა საპატრიარქოს და ასე ჩაეყარა ფუძე შემდგომში ახალ ილორად წოდებულ ამ სულიერ სიწმინდეს.

მამა ლევან ჯანაშია აქ პირველყოფილისა პარაკლისების გადახდას შეუდგა. შემოდგომის პირი იდგა, ზამთარი მო-

მამულიშვილური შემართება, რაც აფხაზეთიდან დევნილებმა გამოიჩინეს და მხარში დაუდგნენ მამა ლევანს.

პირველივე დღიდან ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობს დედით აფხაზი ალექსანდრე წულაია, აფხაზი ლორენცო შარანგია, ალექსანდრე კუჭუხიძე, განუზომელია დამსახურება თბილისელი თამაზ გოგინაშვილისა, რომელსაც მასშტაბური ფინანსური მხარდაჭერით საძირკვლის მომზადებიდან დღევანდელ დღემდე დიდი წვლილი უდევს მშენებლობის ხორც-შესხმაში. ასევე პატივი უნდა მივაგოთ სილიბისტრო კანკავას, ნუგზარ ძიბაშვას, გიორგი (ცერა) ალანისა, დებ მათა და ნანო გერგაიებს, გიორგი

ზეთის ომის მონაწილე მეომრები იქითა და აქეთა მხრიდან. არა მხოლოდ სადღეგრძელოები, შენდობაც უთქვამთ ერთმანეთისთვის, გარკვეული წილი დანაშაულისა ყველა მათგანს საკუთარ თავზე აუღია და პატიების სიტყვაც წარმოუთქვამთ.

პირველყოფილისა სწორედ ეს მისია აკისრია თბილისის გულში დაფუძნებულ ახალ ილორს, უფრო მასშტაბური და მასიური გახადოს ქართველთა და აფხაზთა შეხვედრები, რომ უფლის შემწეობით და უფალთან სიახლოვით მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, რომ ვალიაროთ საკუთარი წილი შეცდომები. სწორედ ეს გვიქადაგა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ახალი ილორის ტაძარში სტუმრობისას. ასეთივე იყო შეგონებები პატრიარქის მოსაყდრის მეუფე შიოსი და საპატრიარქოს წარმომადგენლის, მამა ანდრია ჯალმაიძისა, როდესაც აქ მონაწილეობდნენ ხოლმე მრევლთან ღვთისმსახურებაში.

საუბრის დასასრულს მამა ლევანს ჯანაშიამ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლის წლებიც გაიხსენა:

„2010 წელს დავამთავრე სასულიერო სემინარია. მაშინ იმდენად შრომატევადი იყო ჩემთვის ამ ტაძრის მშენებლებთან ურთიერთობა და მათი ხელმძღვანელობა, ამასთანავე მრევლთან მსახურებების ჩატარება, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი თუ სასულიერო აკადემიაში გავაგრძელებდი სწავლას. მამა ბესარიონ ცინცაძემ რამდენჯერმე მიჩიოა სრულმეყო აკადემიური განათლება. საბოლოოდ დავთანხმდი. განსაკუთრებით აღვნიშნავ ჩემს მიმართ მამა გიორგი ზვიადაძის ყურადღებას და მასთან ერთად მადლობით მოვიხსენიებ ყველა ჩემს პედაგოგს“.

გივი შაყილაძე



დიოდა და მხოლოდ მცირე ხნით მიეცა ლოცვის აღსრულების საშუალება. ზამთარში მრევლს ქუჩაში ვერ დააყენებდა და გადაწყვიტა პატარა ტაძარი აეგოთ წმინდა ნიკოლოზის სახელზე. სექტემბერში დაიწყო საძირკვლის მომზადება და ექვს თვეში ტაძარი ფაქტიურად მზად იყო წირვების ჩასატარებლად. 2012 წლის 4 მარტს, მზობის დღესასწაულზე შესრულდა პირველი მსახურება. სამი წლის შემდეგ უკვე დიდი ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. ეს პერიოდი ახალგაზრდა სასულიერო პირისათვის ძალზე რთული იყო და სწორედ მაშინ გამოჩნდა ის

მახათაძეს, გიორგი დანელიას, ამირან ნოდისა...

ამჟამად ტაძრის მოპირკეთების სამუშაოებს ხელმძღვანელობს დედით აფხაზი თემურ ანჩაბაძე.

მრავალმხრივ საყურადღებოა, რომ ახალ ილორად სახელდებულ ამ საეკლესიო კომპლექსით ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი დაინტერესებაა. მაგალითად, აფხაზთა და ქართველთა შორის ერთგვარ მეგზურად გვესახება ბატონი მერაბ ემხვარი, ვისაც ორივე მხარესთან აქვს კონტაქტი.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული აფხაზეთში მცხოვრებნი, როდესაც დედა სამშობლოში სამკურნალოდ ჩამოდიან, სწორედ აქ იღებენ ზიარებასა და აბარებენ აღსარებას.

საგულისხმოა ერთი ყურადღაღები ფაქტი, რომელსაც განსაკუთრებით აღვნიშნავს მამა ლევანი. სწორედ აქ, ამ ტაძარში შეხვედრიან მსახურებასა და შემდგომ ტრაპეზზეც აფხა-

აფხაზეთის ომმა გაგრილ საშუალო სკოლის პირველკლასელს მოუწია, და როცა თბილისში ლტოლვილობისას შინ დაბრუნების ამოა ლოდინში წლები მიილია, დედაქალაქის 102-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 2002 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაირიცხა ინფორმატიკის ფაკულტეტზე...

ასე იწყებს თავის ბიოგრაფიას ჩემი რესპოდენტი, 38 წლის **ლევან ჯანაშია**.

საბურთალოზე, თამარ მეფის სახელობის ტაძარში, მამა ზაქარია მაჩიტაძესთან დამოძღვრებულმა სტიქაროსანმა როდესაც შეიტყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის არსებობის შესახებ, მძაფრი სურვილი გაუჩნდა ამ სულიერ სავანეში გაეგრძელებინა სწავლა.

მამა ლევანი: როცა ჩემმა მეგობარმა მედავითნეებმა მითხრეს, რომ პატრიარქი, სასულიერო აკადემიის რექტორი, ლექციების დაწყების წინ სისტემატურად ხვდებოდა სტუდენტებს და დილის საუბრებში მეტად საინტერესო თემებზე მსჯელობდნენ, ტექნიკურ უნივერსიტეტში ბოლო დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისთანავე მივაშურე სასულიერო აკადემიას და სემინარიას.

და გახდა სემინარიის სტუდენტი. უკვე მეორეკურსელს სამების ტაძარში მოუწია დიაკვნობა და მისთვის უდიდესი სიხარული იყო უწმინდესთან მსახურება. ექვსი თვის შემდეგ ამაღლების ტაძარში გადაიყვანეს.

გავიდა წელიწადნახევარი და 2011 წელს ტაძარში საპატრიარქოდან არქიტექტორები ესტუმრნენ და აუწყეს, რომ პატრიარქის კურთხევით შეეძლო წასულიყო და ენახა ნაკვეთი, რომელიც ოჩამჩირელმა კაცმა გადასცა საპატრიარქოს, სადაც უნდა აშენდეს



ორნამენტებს ამზადებენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები



სურათზე აღბეჭდილია მრევლის პატარა წევრთა პრაქტიკული მეცადინეობა ტაძარში გახსნილ საკვირაო სკოლაში



საღვთისმეტყველო წერილები

იმნება თუ არა შესაბამისი ჩვენი სხეულები მკვდრებით აღდგომის შემდეგ

საკითხი იმის შესახებ, თუ რა თვისებისა იქნება ჩვენი მკვდრებით-აღდგომილი სხეული მეორედ მოსვლის ჟამს, კერძოდ კი, დადგენა იმისა, ფიზიკურად შესაბამისი იქნება იგი თუ არა, წმინდა მოძღვრებაში დოგმატურად განმარტება მაცხოვრის მკვდრებით აღმდგარ სხეულთან სრულ არსობრივ იდენტურობაში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სხეული, თავისი ბუნებითი თვისებებით, იქნება ზედმიწევნით იმგვარი, როგორც იყო (და მარადიულად არის) მაცხოვრის კაცობრივი სხეული აღდგომისთანავე. აღნიშნულ თემაზე VI საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ცხარე პაექრობა გამართა ორმა დიდმა ღვთისმეტყველმა – კონსტანტინოპოლის პატრიარქმა წმინდა ევტიქიოსმა (552-582 წწ.) და რომის პაპმა წმინდა გრიგოლ დიდმა (590-604 წწ.). საზს გაუგებრობა, რომ პაექრობის საგანი იყო მაცხოვრის სხეულის საკუთრივ აღდგომის-შემდგომდროინდელი (და არა აღდგომამდელი) ვითარება, რასთან დაკავშირებითაც, როგორც ეს ნათლად გამოჩნდა პაექრობის პროცესში, წმინდა ევტიქიოსის პრინციპული ცთომილება ჰქონდა და რომ არა აღსასრულის ჟამს გულმხურვალე სინანულით შემოქცევა მართლმადიდებლური სწავლებისკენ, მისი პიროვნებისადმი მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. აღნიშნულ ფაქტზე ზედმიწევნითი დაწვრილებით გვაუწყებს ევტიქიოსთან მოპაექრე წმინდა გრიგოლ დიდი თავის სახელგანთქმულ ნაშრომში: „ზნეობრივი საკითხები იოზის წიგნში“. ვინაიდან წმინდა გრიგოლ დიდის უწყება მაცხოვრის მკვდრებით-აღდგომილი კაცობრივი სხეულის თვისებათა უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხება, აუცილებლად მიგვაჩნია მკითხველის წინაშე სრული ციტატის წარმოდგენა ზემოხსენებული ნაშრომიდან, რაც, ამავე დროს, დოგმატური პასუხია სათაურში დასმულ საღვთისმეტყველო შეკითხვაზე. დავიმოწმებთ შესაბამისი ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმანს:

„თქვას, ამრიგად, ნეტარმა იოზმა: **«გუწვი, რომ ჩემი მსხნელი ცოცხლობს და უკანასკნელ დღეს მიწიდან აღვდგები»**. ... ამრიგად, მწამს, რომ აღვდგები, მაგრამ – როგორი, მსურს ვისმინო! დიას, საცოდნელია ჩემთვის, რითი აღვდგები, სიფრიფანა რამ სხვა სხეულით ან, შესაძლოა, პაეროვანიო, თუ სწორედ იმით, რომლითაც ვკვდები. მაგრამ თუ პაეროვანი სხეულით აღვდგები, ეს უკვე აღარ ვიქნები მე, რომელიც აღვდგები, ვინაიდან როგორღა იქნება აღდგომა ნამდვილი, თუ სხეული ვერ შეძლებს იმას, რომ ნამდვილი იყოს? ამრიგად, საღი აზრი გვიკარნახებს, რომ თუ არ იქნება ნამდვილი სხეული, უთუოდ არც აღდგომა იქნება ნამდვილი. მართლაც, შეუძლებელია

მართებულად ითქვას აღდგომა, რაჟამს არ აღდგება ის, რაც დაეცა. მაგრამ, ნეტარო იოზ, გადაგვაცალე ეს ღრუბლებიც დაეჭვებისა და ვინაიდან სულიწმინდის მადლმიღებულმა იწყე ჩვენდამი საუბარი ჩვენს აღდგომაზე, ნათლადვე გვითხარ, აღდგება კი ჭეშმარიტად ჩვენი სხეული? გვეუწყება: **«და კვლავ გარეშევიმოსები ჩემი ტყავით»**. მაშ, რადგან აშკარად **«ტყავი»** ითქვა, განქარდა ამით ყოველგვარი დაეჭვება ჩვენი ნამდვილი აღდგომის გამო. ასე რომ, აღდგომის სხეულ სიდიადეში ჩვენი სხეული შეუხებელი არ იქნება, არცთუ – «ქარსა და პაერზე უსიფრიფანესი», როგორც დაწერა ეს ქალაქ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ევტიქიოსმა, არამედ სწორედ იმ აღდგომისეულ დიდებულებაში ჩვენი სხეული სიფრიფანა წარმოიჩინება სულიერი ძალის ზემოქმედებით, მაგრამ იქნება იგი შესაბამისი ბუნებისეული ნამდვილობიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, ჩვენმა მსხნელმა თავის მოწაფეებს, დაეჭვებულებს მის აღდგომაში, უჩვენა ხელნი და ფეხნი და მიუბოძა ძვალნი და ხორცი, რომ შესებოდნენ, უთხრა რა: **«შეხეთ და ნახეთ, რამეთუ სულს ხორცი და ძვლები არ აქვს, როგორც ხედავთ, რომ მე მაქვს»** (ლუკა 24.39). ხოლო მე, რაჟამს სსენებულ ევტიქიოსთან ვიმყოფებოდი კონსტანტინოპოლში, მოვუტანე რა სახარებისეული ჭეშმარიტების ეს მოწმობა, თქვა: «უფალმა იმიტომ იმოქმედა ეს, რომ აღმოეფხვრა თავის მოწაფეთა გულებიდან დაეჭვებულობა მისი აღდგომის მიმართ». მე მივუგე: «ფრიად საკვირველი რამ არის, რასაც ამტკიცებ, ვინაიდან, მაშ, თურმე იქიდან აღძრულა ჩვენში დაეჭვება, საიდანაც ეჭვიანობისგან განიკურნა მოწაფეთა გულები. მართლაც, რა უნდა ითქვას იმაზე უარესი, ვიდრე ის, რომ ჩვენს შორის სწორედ იმან აღძრა დაეჭვება მისი ნამდვილი ხორცის შესახებ, რამაც მისივე მოციქულები ყოველგვარი დაეჭვებისგან განაშორა და რწმენისკენ მიმართა, რამეთუ უკეთუ იმას დაევიწყებოდა, რომ არ ჰქონდა მას ის, რაც უჩვენა [მოწაფეებს], მაშ, სწორედ იმით, რითაც მის მოწაფეთა რწმენა შემყარდა, იმუსრება ჩვენეული». მან კი [ევტიქიოსმა, ე. წ.] კვლავაც დასძინა და თქვა: «ის სხეული, რაც აჩვენა, შესებადი ჰქონდა მას, მაგრამ მას შემდეგ, რაც შემსებელთა გულები გამყარდა, ყოველივე ის, რაც შეიძლებოდა შესებადი ყოფილიყო უფალში, რაღაც სიფრიფანადე დაიმცრო». ამაზე მივუგე და ვუთხარი: „დაწერილია: **«ქრისტე აღდა მკვდრებით, აღარ მოკვდება, სიკვდილი მასზე ვერ იმძლავრებს»** (რომ. 6.9)». ასე რომ, თუკი შესაძლებელია, რომ მის [უფლის, ე. წ.] სხეულში შეიცვალოს რაიმე აღდგომის შემდეგ, საწინააღმდეგოდ პავლე

მოციქულისგან ნაჭეშმარიტები განწესებისა, მაშ, სიკვდილისკენ უკუმიქცეულა უფალი აღდგომის შემდეგ, ამის თქმა კი ვისლა ძალუძს, გინდ იყოს შლეგი, თუ არა ოდენ მას, ვინც უარყოფს მისი ხორცის ჭეშმარიტ აღდგომას?» მაშინ ამგვარად განმბასრა მან და მომიგო: „**«ხორცსა და სისხლს არ ძალუძს იმემკვიდროს ღვთის სასუფეველი»** (I კორ. 15.50) და როგორღა სარწმუნო, რომ ჭეშმარიტად აღდგება ხორცი?». მე ვუპასუხე: «წმინდა წერილში ხორცი, ერთი მხრივ, სხვაგვარად ითქმის ბუნების შესაბამისად და, მეორე მხრივ, სხვაგვარად – დანაშაულისა და სრწნილების შესაბამისად. მართლაც, ბუნების შესაბამისად **«ხორცი»**, როგორც დაწერილია: **«ეს არის ძვალი ჩემს ძვალთან და ხორცი ჩემი ხორციდან»** (შესაქ. 2.23), აგრეთვე: **«სიტყვა ხორცი გახდა და დაიკარგა ჩვენს შორის»** (იოანე 1.14). ხოლო დანაშაულის შესაბამისად **«ხორცი»**, როგორც დაწერილია: **«არ შენარჩუნდება ჩემი სული იმ ადამიანებში, ვინაიდან ხორცი არიან»** (შესაქ. 6.3); აგრეთვე, როგორც მეფსალმუნე ამბობს: **«ასსოვდა მას, რომ ხორცი არიან, – ქარი წარმაველი და შემოუქცევი»** (ფს. 77.39). აქედან გამომდინარე, პავლეც ეუბნებოდა მოწაფეებს: **«ხოლო თქვენ არ ხართ ხორცში, არამედ – სულში»** (რომ. 8.9). არათუ, მაშ, არ იყვნენ ხორცში ისინი, რომლებსაც ეპისტოლეებს უგზავნიდა იგი, არამედ ვინაიდან დასძლიეს მათ ხორციელ წადილთა გნებანი, უკვე თავისუფალნი სულიწმინდის ძალით **«ხორცში არ იყვნენ»**. სწორედ ამას ამბობს პავლე მოციქული: **«ხორცსა და სისხლს არ ძალუძს იმემკვიდროს ღვთის სასუფეველი»**, მოსურნეა კი იმისა, რომ გაეიანზროთ **«ხორცი დანაშაულის შესაბამისად»** და არა – **«ხორცი ბუნების შესაბამისად»**, რის გამოც მყისვე დასძენს, წარმოაჩენს რა, რომ ხორცს ამბობს დანაშაულის შესაბამისად: **«არც სრწნილება იმემკვიდრებს უსრწნელეებს»**. ამრიგად, ზეციური სასუფეველის სიდიადეში ბუნების შესაბამისად იქნება ხორცი, ხოლო გნებათა სურვილების შესაბამისად არ იქნება, ვინაიდან სიკვდილის საწერტელის დაძლევიტ საუკუნო უსრწნელებაში იმეფებს იგი. ევტიქიოსმა მყისვე მიპასუხა, რომ ჩემს ამ სიტყვებს თვითონაც ეთანხმებოდა, თუმცა იგი კვლავ და კვლავ უარყოფდა შესებადი სხეულის აღდგომის შესაძლებლობას. მანვე თავის იმ წიგნში, რაც აღდგომის შესახებ დაწერა, მოწმობად ჩართო აგრეთვე პავლე მოციქულის შემდეგი ნათქვამი: **«შენ რასაც სთესავ, არ გაცოცხლდება, თუ უწინარეს არ მოკვდება; და რასაც სთესავ, არათუ იმ სხეულს სთესავ, რაც იქნება, არამედ – შიშველ მარცვალს»** (I კორ. 35-57). ამით იგი ესწრაფვოდა იმის ჩვე-

ნებას, რომ ან შესებადი არ იქნებოდა ხორცი ანდა არ იქნებოდა ის, რაც არის, ვინაიდან წმინდა მოციქული, აღდგომისეული სიდიადის განხილვისას, ამბობს, რომ **«არ ითესება ის სხეული, რაც იქნება, არამედ – შიშველი მარცვალი»**. მაგრამ ამაზე მყისვე გაიცემა პასუხი: როდესაც მოციქული პავლე ამბობს, რომ **«არ ითესება ის სხეული, რაც იქნება, არამედ – შიშველი მარცვალი»**, ამით იგი მიაწინებს იმას, რასაც ვხედავთ, ვინაიდან მარცვალი, რომელიც ითესება ღეროსა და ფოთლების გარეშე, აღმოცენდება ღეროთი და ფოთლებით. ამრიგად, მოციქული აღდგომისეული სიდიადის შენამატში არ ამბობს იმას, რომ თესლის მარცვალს დააკლდება ის, რაც იყო, არამედ იმას, რომ ექნება მას ის, რაც არ იყო, მაშინ როცა ევტიქიოსი უარყოფს ნამდვილი ხორცის აღდგომას, ამბობს რა არა იმას, რომ ამ სხეულს ექნება ის, რაც არ ჰქონდა, არამედ იმას, რომ არ ექნება ის, რაც ჰქონდა. ასე და ამგვარად, ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხანგრძლივ პაექრობაში შევედით და უმძიმესი ქიშპობით ვიწყეთ ურთიერთისგან განტოლვა, იმ ჟამს ღირსსსენებულმა იმპერატორმა ტიბერიუს კონსტანტინემ ფარულად მიგვიღო მე და ევტიქიოსი, გამოიკითხა იმ უთანხმოების შესახებ, რასაც ჩვენს შორის ჰქონდა ადგილი, და ორივე მხარის მტკიცებულებათა აწონდაწონვის შემდეგ თვითვე დასაბუთებულად დაამხო ის წიგნი, რაც ევტიქიოსმა დაწერა აღდგომის შესახებ, ამასთან, გადაწყვიტა, რომ ცეცხლში დაწვას იმ სახურება იგი. მისგან წამოსვლის შემდეგ მე მძიმე სნეულება შემეყარა, ევტიქიოსის კი მყისვე – სნეულებაც და სიკვდილიც. როდესაც გარდაიცვალა იგი, გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის არავინ იყო, ვინც მიმდევრად გაუსდებოდა მის სიტყვებს, უარი ვთქვი დაწყებული პაექრობის გაგრძელებაზე, რომ არ წარმოეჩინილიყავი მის ნეშტისადმი სიტყვათა მტყორცნელად, თუმცა, ამასთან, იყო რა იგი ჯერ კიდევ ცოცხალი, ხოლო მე – დასნეულებული უმძიმესი ციებ-ცხელებით, შევიტყვე ჩემი ახლობლებისგან, რომ თუკი ვინმე მათგანი მის მოსაკითხად მივიდოდა, იგი მათვე თვალწინ თავისი სხლის კანს მოჰკიდებდა თითებს და იტყოდა: **«ვაღიარებ, რომ ყველანი ამ ხორციით აღვდგებით»**, რაც მის მიერ ადრე (როგორც ამას ისინი თავად აღიარებენ), ჩვეულებისამებრ, ყოვლითურთ უარყოფილი იყო. მაგრამ გადავდოთ გვერდზე ეს ყოველივე და ნეტარი იოზის ქადაგებებისგან დაწვრილებით გამოვიძიოთ, არის თუ არა აღდგომა ნამდვილი და სხეულიც ნამდვილი – აღდგომის ჟამს, ვინაიდან, აჰა, უკვე არ ძალგვიძს ეჭვის შეტანა აღდგომისადმი სასოებაში, ამბობს რა იგი: **«და უკანასკნელ დღეს მიწიდან აღვდგები»**, ამასთან, ნამდვილი სხეულის აღდგინებისადმი დაეჭვებასაც აღმოფხვრის იქვე, აღმოცეცის რა: **«და კვლავ გარეშევიმოსები ჩემი ტყავით»** (იოან. 19.26). შემდეგ კი, კვლავაც ჩვენეული განსჯის ბუნ-

დოვანებათა აღმოსაფხვრელად დასძენს: **«და ჩემს სორცში ვიხილავ ღმერთს»** (იოპ. 19. 26. აჰა, აღდგომა, აჰა **«ტყავი»**, აჰა **«სორცი»** – აღიარებულნი აშკარა სიტყვებით. მაშ, რაღა რჩება კვლავ, რის საფუძველზეც შესაძლოა ეჭვში იყოს ჩვენი გონება? ამრიგად, თუ ეს წმინდა კაცი [იოპი, ე. წ.] უწინარეს საუფლო აღდგომის აღსრულებისა რწმუნებული იყო იმას, რომ **უკუ-შე-მოყვანილი იქნება [ე. ი. ა. აღდგინებული იქნება, ე. წ.] სორცი მთლიანი გვარ-წესით**, რაოდენი უნდა იყოს დანაშაული ჩვენეული დაეჭვებისა, თუკი არ ვირწმუნებთ ნამდვილი სორცის აღდგო-

მას მაცხოვრის მაგალითის შემდეგაც კი? ასე რომ, თუ სხეული აღდგომის შემდეგ შესებადი არ იქნება, უთუოდ სხვა აღდგება და არა ის, ვინც კვდება, ვინაიდან დაუშვებელია იმის დაჯერება, რომ მე ვკვდები და სხვა აღდგება. ამიტომ, გვედრები შენ, ნეტარო იოპ, თანადაურთე, რასაც ფიქრობ და მოგვისპე ამ საკითხზე იჭვნეულობა. მოედევნება: **«რომელსაც ვიხილავ თვით მე და ჩემი თვალები დაინახავენ და არა სხვა»** (იოპ. 19.27). ამრიგად, თუ აღდგომის შემდეგ სხეული შესებადი არ იქნება, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მიმდევარი ცთომილებისა, არამედ **«სორ-**

ცი» დაერქმევა უხილავი სხეულის სიფრიფანად გასდომას, თუმცა-კი ეს არ იქნება სორცის არსება, მაშ, უთუოდ სხვა ყოფილა ვინც კვდება, და სხვა – ვინც აღდგება. მაგრამ ნეტარი იოპი ამგვართა აზრებს მართლისმეტყველი ხმით არღვევს, ამბობს რა: **«ის, რომელსაც ვიხილავ თვით მე და ჩემი თვალები დაინახავენ და არა სხვა»**. ამიტომ, ჩვენ, ნეტარი იოპის რწმენას შედგომილნი და ჭეშმარიტად მრწმუნებელნი იმისა, რომ შესებადი იყო ჩვენი მაცხოვრის სხეული აღდგომის შემდეგ, ვაღიარებთ, რომ ჩვენი სორცი აღდგომის შემდეგ იქნება **იგივეც და სხვაც**, კერძოდ,

იგივე – ბუნებიდან გამომდინარე, სოლო სხვა – დიდებიდან გამომდინარე, ანუ იგივე – ნამდვილობიდან გამომდინარე, სოლო სხვა – ძალმოსილებიდან გამომდინარე. ამრიგად, იგი იქნება სიფრიფანა, ვინაიდან იქნება უსრწნელიც, სოლო იქნება შესებადი, ვინაიდან არ დაკარგავს ჭეშმარიტი ბუნების არსებას» (*Sancti Gregorii Magni, Romani Pontificis, Moralium Libri, Sive Expositio in Librum Beati Job, Libr. XIV, Cap. 55-56, 71-75, PL. 75, col. 1075-1080*).

ადიშარ ჭელიძე

საუფლო მხნეობა – „იყავ კეთილადმცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე...“ (მათე 5.25-26) – ზოგიერთი სულიერი განმარტება

უფალი იესო ქრისტე ერთ-ერთი ქადაგებისას მოციქულებს ამგვარად ურჩევს და არიგებს: **„იყავ კეთილადმცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან – მსახურსა, და საპყრობილედ შეჰვარდე. ამინ, გეტყჳ შენ: ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანახსენელი კოდრადი“** (მათ. 5.25-26). სულიერ კურთხევად გამოთქმული ეს საღვთო მცნება არაერთგვაროვნად განიმარტება, რაც ამ სწავლების სიმბოლურ-ალეგორიულ გააზრებასაც გულისხმობს.

სახარების მოცემული ეპიზოდის უკეთ შესამეცნებლად საჭიროა სიტყვების – **„კეთილადმცნობელი“**, **„წინამოსაჯული“** – მნიშვნელობის გათვალისწინება:

„კეთილადმცნობელი“ – ბერძნ. εὖνοῦν – მწყალობელი, კეთილგანწყობილი (შდრ. ადიშის ოთხთავი: **„მართლ განმზრახველი“** – სწორად განმსჯელი; შდრ. აგრეთვე: **„კეთილმცნობელობა“** – გონიერება, მიხედვრილობა). **„იყავ კეთილადმცნობელ“** სახარების თანამედროვე ქართულ თარგმანებში გადმოტანილია ამგვარადაც: 1. დაუზავდი; 2. შეურიგდი; 3. იყავი კეთილადმცნობელი.

„წინამოსაჯული“ (შდრ. ლკ. 12.58: მოსაჯული) – ბერძნ. ἀντίδικος: 1. ბრალმდებელი, მომჩივანი; 3. მტერი, მეტოქე (შდრ. ადიშის ოთხთავი: **მოსაჯული**).

განსახილველი ეპიზოდის პირდაპირი გაგება ზოგიერთი ეგზეგეტიკოსის დასაშვებია.

გავრცელებული თვალსაზრისით, უფალ იესო ქრისტეს მაგალითი მოჰყავს რომაული სამართალწარმოების იმ ნაწილიდან, რომელიც გამსესხებლისა და მოვალის ურთიერთობას ეხება. თუკი გამსესხებელი მოითხოვდა ვალის დაბრუნებას, რომაული კანონების თანახმად, შუამავლები თავდაპირველად სახლში ცდილობდნენ მის შერიგებას მოვალესთან, მაგრამ ამას თუ ვერ მოახერხებდნენ, გამსესხებელი მოითხოვდა მოვალესთან ერთად მოსამართლესთან წარდგომას; თუ მოვალე არ ეთანხმებოდა, გამსესხებელს იგი ძალით მიჰყავდა. მოსამართლე მოვალეს აღარ სწყალობდა: მას ციხეში სვამდნენ და იქ იყო მანამ, სანამ მოვალე ან მისი ახლობლები ვალს არ გადაიხდიდნენ.

ამ ისტორიულ სინამდვილეზე დამყარებული მოსაზრებით, „წინამოსა-

ჯული“ – ეს არის ადამიანი, რომელიც ბრაზობს თავის მოვალეზე, მასთან ერთად მიემართება სასამართლოსკენ და მზად არის, არ გამოუშვას იგი ციხიდან, სანამ ვალს არ დაიბრუნებს. უმჯობესია, მოვალემ წყენა დაითმინოს, დაუზავდეს და დავა შეწყვიტოს („იყავ კეთილადმცნობელ“), სანამ ჯერ კიდევ თავისუფალია და თავს განკარგავს („ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა“), თორემ მსაჯულთან წარდგომის შემდეგ სხვის ხელში აღმოჩნდება და დაისჯება („საპყრობილედ შეჰვარდე“). უმჯობესია ვალის გადახდა – სიყვარულისა და კეთილგანწყობის გამოხატვა მომჩივნისადმი და ამის შედეგად სამმაგი სარგებლის მიღება: არ მოხვდება ციხეში, ბოლომდე არ დაიხარჯება, მეტოქეს დაუზავდება. ხოლო საპირისპირო, მსაჯულის მიერ განაჩენის გამოტანის შემთხვევაში – ციხეშიც ჩაჯდება, ბოლო კოდრანტსაც დაკარგავს (კოდრანტი – სპილენძის რომაული წვრილი მონეტა) და არც მტერს შეურიგდება.

სხვა განმარტებით, „წინამოსაჯული“ – ეს არის ადამიანი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ იქცევა, ცდილობს, წაგვართვას და მიისაკუთროს ჩვენთვის სასარგებლო. მაგრამ საჭიროა მასთან შერიგება, თუკი დავიცავთ ქრისტეს მცნებას: **„და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტყვევ მას სამოსელიცა შენი“** (მათ. 5.40).

„წინამოსაჯულის“ მსგავსად, სიმბოლურ-ალეგორიულად გაიზრება: მსაჯულისკენ მიმავალი გზა („ვიდრე ხარ მის თანა გზასა ზედა“) – ეს არის ადამიანის ცხოვრების წლები (შდრ. იოპ. 16.22), მსაჯული („მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა“) – ესაა იგივე ღმერთი, მსახური („და მსაჯულმან - მსახურსა“) - ანგელოზი (შდრ. მათ. 24.31), ხოლო საპყრობილე („და საპყრობილედ შეჰვარდე“) – ჯოჯოხეთი, მარადიული ტანჯვის ადგილი (შდრ. 1 პეტ. 3.19; 2 პეტ. 2.4).

ზოგიერთი განმმარტებელი ფიქრობს, რომ „წინამოსაჯულში“, მეტოქის მნიშვნელობით, სულიწმინდა უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ყოველ ჩვენგანში სწორედ ის ეწინააღმდეგება ჩვენსავე ხორციელ ვნებებს. წმინდა პავლე მოციქულის ამ სწავლების კონტექსტში – **„ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს, ხოლო სულსა – ჴორცთათჳს; და ესენი მჯდომ არიან ურთიერთას“** (გალ. 5.17) – ხორცი, რომელსაც სულის საპირისპირო სურს (**„გული უთქუამს სულისათჳს“**), ბოროტი და უწმინდური გულისტექმების

სახეა, ხოლო სული – თავად სულიწმინდის ძალისა და მადლისა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი მიესწრაფვის ყოველგვარ საღვთოს, ზეციურსა და სულიერს, არა ეშმაკისეულს, მიწიერსა და ხორციელს... ნათლისღების ჟამს ადამიანი იღებს სულიწმინდას, რომელიც მან არ უნდა შეაჭირვოს (შდრ. ეფეს. 4.30: **„და ნუ შეანუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა“**), რადგან მისით არის აღბეჭდილი **„დღედ გამოცხნისა“/„გამოხსნის დღისთვის“** (ეფეს. 4.30), უნდა შეურიგდეს და დაემორჩილოს მას, როგორც წმინდასა და მართალ მრჩეველს, სანამ ცოცხლობს და მასთან ერთად არის **„გზასა ზედა“** (მათ. 5.25), ანუ წუთისოფელში.

მყარად დამკვიდრებული თვალსაზრისით, „წინამოსაჯული“ ალეგორიული სახეა სინდისისა (*συνείδητος* – 1. ცნობიერება, შეგნება; 2. სინდისი. შდრ. ძვ. ქართ. გონება), რომელიც ითქმის გონების რჯულადაც, რაც არის იგივე ბუნებითი რჯული.

ერთ-ერთ მთავარ მიზეზად „წინამოსაჯულის“ სინდისად გააზრებისა მიჩნეულია შემდეგი გარემოება: სინდისი ყოველთვის ეწინააღმდეგება ადამიანის ბოროტ ნებას და მუდმივად შეახსენებს მას, რას უნდა აკეთებდეს (და არ აკეთებს), რას არ უნდა აკეთებდეს (და აკეთებს). საგულისხმოა, რომ წმინდა იოანე მოციქულის პირველ ეპისტოლეში სწორედ სინდისის, როგორც მსჯავრმდებლის, დამგმობისა და გამკიცხველის (*καταγνώσκει*) მნიშვნელობით გამოიყენება „გული“ (*καρδιά*): **„საყუარელნო, უკუეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩუენ, განცხადებულება გუაქჳს ღმრთისა მიმართ“** (1 ინ. 3.21). განმარტების თანახმად, ვინც მოიძულებს და არ შეისმენს შინაგანი რჯულის, ანუ სინდისის, რჩევასა და შეგონებას, ეს უკანასკნელი, როგორც მომჩივანი, დაასმენს, ამხელს და გაკიცხავს მას მიუკერძოებელი მსაჯულის – ღმერთის წინაშე, მაგრამ თუკი მადლიერებით შეიწყნარებს, განიწმინდება და გათავისუფლდება გულისმიერი, ანუ სინდისისმიერი მხილებისაგან, შეასრულებს რა საუფლო მცნებას – **„იყავ კეთილადმცნობელ“**, – სამსჯავროზე ნამდვილად ექნება **„განცხადებულება (παρηγοσία - [წმინდა] კადნიერება) ღმრთისა მიმართ“** (1 ინ. 3.21), როგორც ღვთის რჯულის ერთგულსა და მოყვარულს.

წმინდა პავლე მოციქულის სწავლებით, ბუნებითი რჯულის დამცველი წარმართები, როგორც ყოველი ადამიანის განზოგადებული სახენი, ღვთის სამიწელ სამსჯავროზე **„გამოაჩინებენ საქმესა მჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა თანამონამებითა მათდა გონებისა** (შდრ. წმინდა ეფთვიმე მთაწმიდელის რედაქციის მიხედვით: *სკნიდისისა) მათისაჲთა, და შორის*

ურთიერთას გულისსიტყუანი შეასმენდენ გინა სიტყუას-უგებდენ (შდრ. წმინდა ეფთვიმე მთაწმიდელის რედაქციის მიხედვით: *განამართლებდენ დღესა მას, რომელსა მჯიდეს ღმერთი დაფარულსა მას კაცთასა...*)“ (რომ. 2.15-16) – სამოციქულო მოძღვრების თანახმად, ადამიანის ღირსებას, რაც მისი რჯულისმიერი საქმეებით გამოიხატება, ამოწმებს მასშივე მოქმედი სინდისი და აზრები, რომლებიც ერთმანეთს ხან ადანაშაულებენ, ხან კიდევ ამართლებენ ღვთის იმ სამსჯავროს დღისათვის, როდესაც დაფარული საქმეები განისჯება. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი რომაელთა მიმართ ეპისტოლის ამ მონაკვეთის განმარტებისას აღნიშნავს: **„მაშინ წარმოგვიდგებიან ჩვენი აზრებიც (λογισμοί - ძვ. ქართ. გულისსიტყუანი), ერთი მხრივ, [როგორც] ბრალმდებელნი, ხოლო მეორე მხრივ, - განამართლებელნი, და ადამიანს იმ სამსჯავროზე სხვა ბრალმდებელი არც დასჭირდება“** (PG, T. LX, 1862: 429).

„წინამოსაჯული“ ეშმაკადაც გაიზრება წმინდა პეტრე მოციქულის იმ სიტყვებზე დაყრდნობით, რომლებშიც ის, როგორც მტერი და მეტოქე, გამოყენებულია ეშმაკის სინონიმურ ცნებად და მნიშვნელობით: **„...მღჳძარე იყვენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვრალი, მიმოვალს...“** (1 პეტ. 5.8) (შდრ. ბერძნ.: *ὁ ἀντίδικος ἡμῶν ὡς λέων*, თანამედრ. ქართ. თარგმ: **„თქვენი მტერი ეშმაკი“**). და თუ ეს ასეა, განა შესაძლებელია, ადამიანი დაუზავდეს მას ან კეთილად განწყოს მისადმი? „არაოდეს არს ჩუენი მისა მიმართ დაგება. ნუცამცა არს!“ – აღნიშნულია მათე 5.25-26 მონაკვეთის ძველ ქართულ ენაზე წმინდა იოანე ოქროპირის სახელით მოღწეულ ერთ-ერთ განმარტებაში, რომლის მიხედვითაც, „წინამოსაჯული“ ეშმაკადაც შეიმეცნება, რომლისგანაც ადამიანმა თავი უნდა დაიცვას, რომ საბოლოოდ არ დაისაჯოს: **„გულისჴმაყავ კეთილად და განიხილე თავი შენი და ნუცა რაჲ არს შენ თანა ნივთი წინამოსაჯულისა მის და მტერისა შენისა, რამეთუ ვიდრემდის ნივთი საქმეთა მისთაჲ იყოს შენ თანა, თანამდები ხარ მისი... განიწმიდე თავი შენი მისთა მათ ბოროტთა საქმეთაგან. ნუუკუე წარხვდე ამიერ... და წარმოდგეს შემასმენელად შენდა და იტყოდის წინაშე ღმრთისა: მეუფეო, ამან დაღაცათუ სიტყუთ უარმყო მე, არამედ საქმით მევე მმსახურებდა... მაშინ მიეცე შენ ჴელთა მისთა და უწყალოთა მათ მსახურთა მისთასა და შეჰვარდე საპყრობილედ ჯოჯოხეთისა“** (წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თბ., 2014, გვ. 268*).

გიორგი თოდუა

ნსზმრის ახალი დოქტრინები

სიხარული



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია ჰიკაელმოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის უამანიბარულ მუხნიერებათუ დუ სუბერტულის სკოლუბი ტბილნის სუსულნირო კუდუბიისუ დუ სუბინარიის უდუბოგუბუ გრიბოლ სუჭუბუიკუბუ დუბსუ სუდისერბუბიო ნუბრობი ტუბუბუ – „სუბერტულოს სუბოხიუბოლ ბარტოლმუდებუბი უკლუბიის ისტორიის ისტორიოგრაფიუ (XIX სუბუბნის დუსუსრული – XX სუბუბნის დუსუსუნი“)“.

სადისერტაციო საბჭომ უმაღ-
ლესი ქულებით შეაფასა დისერტანტ
გრიგოლ ხაჭაპურიძის ნაშრომი და მი-
ანიჭა ისტორიის დოქტორის აკადემი-
ური ხარისხი.

ქვეყნისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ძალზე რთული პერიოდია XIX საუკუნე, რა დროსაც მიმდინარეობდა მთელი რიგი პოლიტიკური,

კულტურული, ეკონომიკური თუ იდეური ცვლილებები. ეს ყოველივე საეკლესიო ცხოვრებაზეც ახდენდა გავლენას. გრიგოლ ხაჭაპურიძის სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო სწორედ ამ პერიოდით – XIX-XX საუკუნით შემოიფარგლება. ეს ის დროა, როდესაც ასპარეზზე გამოდის ქართველ მიკელევართა მთელი დასი, რომელთა ნაშრომებზე დღემდე გასათვალისწინებელ გამოკვლევებს წარმოადგენს.

გრიგოლ ხაჭაპურიძის
სადისერტაციო ნაშრო-
მი შედგება ანოტაციის,
შესავლის, ექვსი თავის,
თოთხმეტი პარაგრაფის,
დასკვნითი ნაწილისა და
ბიბლიოგრაფიისაგან.

შესავალში წარმოდგენილია საკვლევი პრობლემის აქტუალობა; ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო (1896-1918 წლები); სადისერტაციო თემის შესწავლის მნშვნელობა. განხილულია ნაშრომში გამოყენებული რამდენიმე თვალსაჩინო წყარო და სამეცნიერო ლიტერატურა.

სადოქტორო ნაშრომის პირველ თავში – „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ – განხილულია ეპისკოპოსო კირიონის მონოგრაფიული გამოკვლევები – „Краткий очерк грузинской церковной истории“, „Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом“ და 1910 წელს გამოცემული ნაშრომი „Культурная роль Иверии в истории Руси“. აღნიშნული კვლევები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, იმ ფაქტს თუ რამდენად ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო კირიონ კათოლიკოსი.

ამავე თავში განხილულია 1905 წე-

ნის გამოქვეყნებული თედო ჟორდანას ნაშრომი „Краткие исторические сведения об автокефалии грузинской церкви“; მღვდელ კალისტრატე ცინცაძის ნაშრომები: „Автокефалия церкви грузинской. Исторический очерк (IV-XI В.)“ და „Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской Церкви“ (გამოიცა 1905 და 1906 წლებში); ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის წერილი – „საყურადღებოდ საქართველოს სამღვდელოებისა“, რომელიც 1906 წლის ჟურნალ „მწყემსის“ მერვე ნომერში გამოქვეყნდა; ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი – „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (დაიბეჭდა 1906 წლის გაზეთ „ივერიის“ მეოთხე ნომერში); ნიკოლოზ დურნოვოს წიგნი – „ქართული ეკლესიის ბედი (ქართული საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხის გამო)“, (1907 წელს გამოცემული); შალვა ამირეჯიბის წერილი – „საქართველოს ეკლესიის საკითხი“, რომელიც 1913 წლის ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზე დაიბეჭდა; ჟურნალ „მოგზაურის“ 1902-1903 წლების ნომერებში დაბეჭდილი ილია ფერაძის წერილები – „პირველი ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში“, რომელშიც ავტორი დანწრილებით მოგვითხრობს მოციქულთა ქადაგებისა და ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას საქართველოში და „მოგზაურში“ დაბეჭდილი მისივე ნაშრომი – „ქართველების ღვთისმსახურება წარმართობის დროს“; ამავე თავში განხილულია დავით ღამბაშიძის, ილარიონ ჯაშისა და უცნობი ავტორის წერილები, რომლებიც ჟურნალ „მწყემსისა“ და გაზეთ „მეგობრის“ 1905-1906 წლების ნომერებშია გამოქვეყნებული.

ნაშრომის მეორე თავი – „ქართველი მეცნიერები“, შედგება რვა ქვეთავისგან, მასში წარმოჩენილია მოსე ჯანაშვილის, სერგი გორგაძის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის,

აღუესანდრე ხახანაშვილის, მელიტონ კელენჯერიძის, დიმიტრი ჯანაშვილის, ევსევი ნიკოლაძის დიდი წვლილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში, სათითაოდ განხილულია ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა და მკვლევართა ნაშრომები.

მესამე თავში – „ტაძრებისა და მონასტრების ისტორია“ – წარმოდგენილია არაერთი მნიშვნელოვანი ტაძარის ისტორია და მათი ღირსშესანიშნაობანი.

დისერტაციის მეოთხე თავში – „ქართველი წმინდანების ისტორია“ – მიმოხილულია ეპისკოპოს კირიონის ის ნაშრომები, რომლებიც ქართველ წმინდანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. ამავე თავში განხილულია ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა – „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“.

გრიგოლ ხაჭაპურის დისერტაციის მეზუთე თავი – „საეკლესიო იერარქიის ისტორია“, სამი ქვეთავისგან შედგება. მასში – „კათოლიკოს-პატრიარქების ისტორიიდან“ – განხილულია მნიშვნელოვანი ნაშრომები, მათ შორის, პოლიევქტოს კარბელაშვილის – „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი“.

აქვე – „სასულიერო განათლების კერების, სასულიერო ჟურნალისტიკისა და სამუზეუმო საქმის ორგანიზების შესახებ“ მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: სასულიერო განათლება, სასულიერო ჟურნალისტიკა და სამუზეუმო საქმე. დისერტაციის ამ ნაწილში საუბარია იმ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებმაც თავისი პოზიტიური როლი შეასრულეს საქართველოსთვის სასულიერო მიმართულების განვითარების თვალსაზრისით.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომის საკვანძო საკითხები.



რე (ბასიკი) ცინსაქვე ღა-
ნსვა სდინსარბასიო ნაზ-
როში — „საქართველოს
ქათოლიქოს-ვატრიარქი
ქალისტრატე ცინსაქე ღა-
მისი სავესნიარო ვეზ-
კვიღაროზა“. სდინსარბა-
სიო საბჭოზ ბესარიონ
ცინსაქეს ვიანიჭი ისტო-
რიის ღოჭოტორის პაქდე-
ვიური ხარისხი.

ნარმოდგენილი სადის-
ერტაციო ნაშრომის თემა
უდაოდ აქტუალურია.
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
კალისტრატე ცინცაძე
ერთ-ერთი გამორჩეული
მწყემსმთავარია საქარ-
თელოს ეკლესიის ისტორია-
ში. როდესაც კალისტრატე
ცინცაძეზე ვსაუბრობთ,
არ უნდა დაგავიწყდეს
ის მიმოიღოქა და მამონ-

დელი საეკლესიო ვითარება, როდესაც მას, როგორც სასულიერო პირს, შემდგომში კი კათოლიკოს-პატრიარქს, მოუხდა მოღვაწეობა. მიუხედავად ეპოქის სიძიმისა, კალისტრატე ცინცაძე მაინც ახერხებდა, გარდა თავისი

მწყემსმთავრობისა, სამეცნიერო მუშაობისთვისაც არა დაეკლო რა. ლიტერატურულ-სამეცნიერო მოღვაწეობა მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო მისი ნაშრომების დიდი ნაწილი კათოლიკოს-პატრიარქობის პერიოდში შეიქმნა.

დეკანოზ ბესარიონ ცინცაძის სა-
დისერტაციო ნაშრომი შედგება ან-
ოტაციის, შესავლის, ხუთი თავის, რვა
ქვეთავის და დასკვნისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აღნიშნულ პერიოდზე არა ერთი სამეცნიერო სტატია და გამოკვლევა, სადისერტაციო ნაშრომის თემა უდაოდ აქტუალურია. მასში პირველად სრულყოფილად და კომპლექსურად არის შესწავლილი კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ
თავში – „კათოლიკოს-პატრიარქი კა-
ლისტრატე და საქართველოს ეკლესი-
ის ავტოკეფალიის საკითხი“ – განხი-
ლულია XIX საუკუნის საქართველოში
მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები,
კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს

გაუქმებიდან დაწყებული, ავტოკეფალიის დაკარგვა აღდგენით დასრულებული. ნაშრომის ამ ნაწილში ნათლად არის შეფასებული ავტოკეფალისტური მოძრაობის დაწყების მიზნები და ამ პროცესებში კალისტრატე ცინცაძის როლი. წარმოჩენილია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესწავლაში. სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში ასევე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პატრიარქ ცინცისადმი კალისტრატე ცინცაძის მიერ მომზადებული საპასუხო წერილი, რომელიც მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის სახელით გაიგზავნა. მისასალმებელია, რომ დოქტორანტმა აღნიშნული წერილი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულად წარმოადგინა. კალისტრატე ცინცაძის ეპისტოლე იმდენად კანონიკურად იყო შედგენილი, რომ იგი უპასუხოდ დარჩა. ამ ნაშრომში კარგადაა წარმორჩენილი კალისტრატე ცინცაძის ღრმა განსწავლულობა საეკლესიო სამართლში, საქართველოსა და ეკლესიის ისტორიაში.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის უშუალოდ მხედველობაში და სამართლის სკოლაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროექტებზე. დეკანოზმა ბესარი-

► მათართება გვარდიან

დისერტაციის მეორე თავი – „საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებში“ – შედგება ორი ქვეთავისგან – პირველ ქვეთავში განხილულია კალისტრატე ცინცაძის საკანდიდატო ნაშრომი – „იბერიის ეკლესია სასანიდთა პერიოდში (265-570 წ.წ.)“. ხოლო იმავე თავის მეორე ქვეთავში განხილულია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომი „ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია“. აღნიშნული ნაშრომი 1910 წელს ქართულ და რუსულ პრესაში ავტორის მითითების გარეშე, ხელმოწერადა, გამოუქვეყნებია. ქაშუეთის ეკლესიის ისტორიის ვრცელი კვლევა კათოლიკოს-პატრიარქმა შემდგომ წლებშიც გააგრძელა. საბოლოოდ ეს ნაშრომი 1994 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ იქნა გამოცემული. დისერტაციის ავტორი, კალისტრატე ცინცაძის საკანდიდატო ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ „მართალია დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნულ შრომაში ბევრი რამ მოძველებულად და საკამათოდ

მოგვეჩვენოს, მაგრამ მასში ბევრი პოზიტივიც შეინიშნება“.

მესამე თავი ეთმობა კალისტრატე ცინცაძის მემუარული ჟანრის ნაკვლევს, რომელშიც XIX საუკუნის 80-იანი წლებისა და XX საუკუნის პირველ ოცნეულში მოღვაწე რუსი ეგზარქოსების ისტორიაა წარმოდგენილი. ნაშრომის ეს ნაწილიც უდაოდ საინტერესოა. ზაზგასმითაა აღნიშნული კალისტრატე ცინცაძის მიუკერძოებელი შეფასება საქართველოში მოღვაწე რუსი ეგზარქოსებისა.

მეოთხე თავი სამი ქვეთავისგან შედგება, მასში განხილულია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის რამდენიმე ნაშრომი. პირველი მათგანი 1943 წელს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ავტორობით გამოცემული წიგნის – „საქართველოს ისტორიის“ ვრცელ შენიშვნებს ეხება. შენიშვნები ძირითადად ფაქტოლოგიურ, სტილისტურ, ენობრივ და სხვა საკითხებს უკავშირდება. ამ შენიშვნებში წარმოჩენილია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი.

სადისერტაციო ნაშრომში მიმოხილულია ასევე კათოლიკოს-პატრიარქ

კალისტრატეს ნაშრომი ცნობილი ქართველი სასულიერო პირის ნიკიფორე ირბახის ღვაწლის თაობაზე, რომელშიც დადასტურებულია ნიკიფორე ირუბაქიძის ქართული წარმოშობა და მისი როლი ქართულენოვანი სასტამბო გამოცემების ისტორიაში.

მეოთხე თავის ბოლო ქვეთავში ქრისტიანულ მრწამსზე დაყრდნობით განხილულია მისი უწმინდესობის ნაშრომი რუსთველოლოგიაში.

მეხუთე, თავში წარმოჩენილია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ღვაწლი 1943-1946 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის დამკვიდრების საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულია კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვები სსრ კავშირის მთავრობის პირველ პირებთან – იოსებ სტალინთან, ლავრენტი ბერიასა და რელიგიის საქმეთა კომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარე გიორგი კარპოვთან. საგულისხმოა აღნიშნული წერილების შეფასება.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია საკვლევი თემის საკითხები, სამეცნიერო შემკვიდრება.

დეკანოზ ბესარიონ ცინცაძის სა-

დისერტაციო ნაშრომი შესრულებულია კარგი თხრობის მანერით, პასუხისმგებლობით და, რაც მთავარია, მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით. სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდის მასალებს; აგრეთვე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს საპატრიარქოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივებში დაცულ საინტერესო დოკუმენტებს. ასევე გამოყენებულია სამეცნიერო და მემუარული ჟანრის ლიტერატურა, პრესის მასალები.

გვანცა გურდული,

საქართველოს საპატრიარქის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ათონის მთიდან დაუპიწყარი შთაბეჭდილებებით

გაზეთის ამ ნომერში ვუძღვით თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტთათვის ფრიად უჩვეულო და დასამახსოვრებელი ექსკურსიის მონაწილეთა წერილს, რომელშიც მოკლედ მოთხრობილია, როგორ მოილოცეს თეოლოგიის სპეციალობის მესამეკურსელებმა, დეკანის, მამა გიორგი ვაშალომიძის მონაწილეობით და წინამძღოლობით ათონის მთის სინამდევები.

ყოველი მართლმადიდებლის სურვილია ათონის წმინდა მთის მოლოცვა. საქართველო და ათონის მთაც ღვთისმშობლის ნილხვედრია და, როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, ათონის მთაზე ფეხს ვერავინ დაადგამს, თუ ამას ყოვლად წმინდა დედა არ ინებებს. ჩვენი ჯგუფი სწორედ ასეთი წყალობის ღირსი გახდა.

მოლოცვისათვის კარგა ხანს ვემზადებოდით. ჩვენი დეკანის, მღვდელი გიორგი ვაშალომიძის ხელმძღვანელობით.

პირველი მონასტერი 12 იანვარს მო-

ვილოცეთ. ერთი ღამით დავყავით წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერში, რომელმაც თავისი აგებულობით, შემოგარენით, ტიპიკონით და სილამაზით შესანიშნავი შთაბეჭდილება დაგვტოვა.

შემდეგ კარიესიდან ჩავედით პანტოკრატორის მონასტერში, სადაც საზეიმო განწყობა დაგვხვდა – აღინიშნებოდა წმინდა ბასილი დიდის ხსენება და ახალი წლის დადგომა. ღვთისმსახურება – გალობა, ტრაპეზი შთაბეჭდვად დაგვამახსოვრდა.

მოვილოცეთ აგრეთვე წმინდა ანდრიას სკიტი და ვემთხვიეთ მის თავის ქალას.

შემდეგ ფეხით გავეშურეთ ივერთა მონასტრისაკენ. გზად მიმავალთ მეტად ამაღლელებელი განწყობა დაგვეუფლა – წარმოსახვით ცხადად დაგვიდგა თვალწინ ქართული სულიერი მსახურობის ის პერიოდი, როცა ქართველ მამათა ღვაწლითა და რუდუნებით აღორძინდა ეს მონასტერი.

ეს სული ივერონში დღესაც ტრიალებს. მოვილოცეთ აქაური უდიდესი სინამდევ



– კარის ღვთისმშობლის ხატი. ჩვენთვის ყველაზე მთავარი და სასიხარულო იყო წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სიმონ-პეტრას ქართულ კელიაში სტუმრობა, სადაც კელიის წინამძღვრის, არქიმანდრიტ გრიგოლ თოიძის ლოცვა-კურთხევით მამა გიორგი ვაშალომიძემ ქართულ ენაზე აღავლინა წირვა, რომელშიც ჩვენიც, სტუდენტებმაც, როგორც მედავითნეებმა, მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წმინდა მამათა – იოანე, ექვთიმე და გიორგი მთან-

მინდელების ნამოღვაწართა ხილვა. კელიის საძმოსთან ბევრ თემაზე ვისაუბრეთ და, როგორც კეთილმა მეგობრებმა, მომავალში კვლავ ვისურვეთ მათი და ათონის მთის მოლოცვა-მონახულება.

მესამე კურსის სტუდენტები: ლუკა სიმონიშვილი, შალვა ღვამბერია, მიხეილ ნუროშვილი, გაბრიელ ნავროზაშვილი, დავით ღირსიაშვილი.



სტუმრად ღვთისმშობლის გარეშე

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დეკანის, მღვდელი გიორგი ვაშალომიძისა და გალობის პედაგოგის – ლაშა ზაალიშვილის ხელმძღვანელობით სტუდენტ მგალობელთა გუნდმა დოღო გარეჯელის სახელობის მონასტერი მოილოცა.

სასულიერო პირებმა მგალობლებთან ერთად წირვა აღასრულეს.

აღსანიშნავია, რომ სემინარიის გუნდმა პირველად იგალობა წირვის სრული რეპერტუარი (გელათისა და სვეტიცხოვლის სამგალობლო სკოლის პრაქტიკის მიხედვით).

სტუდენტთათვის მეტად ამაღლელებელი იყო კლდეში ნაკვეთ ბერთა სავანეში აღსრულებულ ღვთისმსახურებაში მონაწილეობა.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან ჩამოსულ სტუმრებს არქიმანდრიტმა სერაპიონმა და მონასტრის საძმომ უმასპინძლეს.

გაზეთის მაისის ნომერი მოამზადა გივი შაყილაძემ (რედაქტორი).

დამკაბადონებელი - შორონა ფარქოშაძე
დაიბეჭდა შპს „მერიდიანის“ სტამბაში.